დანართი

სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ალინა კუპრავა

წევრები:

მარიამ აბელიანი

მედეა თუთბერიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: 218083302

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2022 წლის 08 სექტემბრის N1031278 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში ვიზიტი, ბრძანების თანახმად, განახორციელდა 2022 წლის 11,12,13 ოქტომბერს სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების ვიზიტის დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, დათვალიერდა გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან შეხვედრები გაიმართა ონლაინ რეჟიმში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირველადი დოკუმენტაცია და კოლეჯის არგუმენტირებული პოზიცია) ანალიზი და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში.

დაწესებულებას თვითშეფასების დოკუმენტით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა 1, 2, 3 და 4 სტანდარტში შეფასებული აქვს როგორც „სრული“, ხოლო მეხუთე სტანდარტში როგორც „ნაწილობრივი“.
ექსპერტთა შეფასებებისა და დასკვნის საფუძველზე 1, 2, 3, 4 სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილი“, ხოლო 5 სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	■	☐	☐
1.1) პსდ-ს მისია	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐	■	☐	☐
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4) ადამიანური რესურსები	☐	■	☐	☐
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
4.2) პერსონალის განვითარება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	■	☐
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.2) საინფორმაციო რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
5.3) ფინანსური რესურსები	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

არ დაფიქსირებულა

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ ფიქსირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გაცემული რეკომენდაცია

1,3,4,5 სტანდარტი

ინდიკატორი 1.2.1.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან სტარტეგიული და სამოქმედო გეგმები არ არის შემუშავებული პსდ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაცული არ არის: მიზნების, ამოცანების, შესრულების ინდიკატორების ფორმულირება (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, დროში გაწერილი) არ არის ასევე განსაზღვრული ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი საპროგნოზო ბიუჯეტი/ფინანსური რესურსი. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირება, განხილვა და დამტკიცება დაგეგმილი აქვს 12.11.2022 დან-11.12.2022 ჩათვლით პერიოდში, ერთი თვის ვადაში. <u>დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.</u>**

ინდიკატორი 3.1.1.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან კოლეჯის შიდა რეგულაციებით არ არის უზრუნველყოფილი კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა არ არის შესაბამისობაში ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან, რომელიც ადგენს ასეთი პირებისთვის ალტერნატიული შერჩევის მეთოდის გამოყენებას - პრაქტიკული მოსინჯვის გზით. ასევე, დაწესებულებამ აპლიკანტების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხაში აუცილებლად უნდა განსაზღვროს ,,საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მიერ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის #147 ბრძანებით განსაზღვრული, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში, მშობლის /კანონიერი წარმომადგენელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად ,,სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესში" სათანადო ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

წლის ჩათვლით, 15 დღის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 4.1.1.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას; კერძოდ დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ფუნქციები არ მოიცავს სწორად განსაზღვრულ მოვალეობებს. ისინი წარმოდგენილია, როგორც შემსრულებელ და ასევე მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებად, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი/შემსრულებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანები/აქტივობები, თანხვედრაში არ არის პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან/ფუნქციებთან. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად შესაბამისი ცვლილებების შეტანა „სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი /შემსრულებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანების/აქტივობების განსაზღვრა პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაბამისად, დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ფუნქციების დაზუსტება და მოვალეობების სწორად განსაზღვრა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**

ინდიკატორი 4.1.1.2. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, კოლეჯის მიერ დამტკიცებული რეგულაციებით, გეგმებით და სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან, პოზიციებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად შესაბამისი ცვლილებების შეტანა რეგულაციებში, სამუშაო აღწერილობებში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებში** დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. **დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ინდიკატორი 4.1.2.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დამხმარე სპეციალისტი ჩართულია ყველა იმ პროცესში, რომელთა შეფასებაც განსაზღვრულია მათ ფუნქცია-მოვალეობებში, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს. ისინი ვერ იქნებიან ობიექტური შემფასებლები, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ჩახსნა იმ პროცესებიდან, რომელთა შეფასებაც განსაზღვრულია მათ ფუნქცია-მოვალეობებში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით, 15 დღის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**

ინდიკატორი 4.1.2.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით და შიდა რეგულაციების მიხედვით პერსონალის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილია ცნობები სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლებისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ, თუმცა გადამოწმებით დადგინდა, რომ რიგი პერსონალის პირად საქმეში აღნიშნული ცნობები არ არის განთავსებული. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად კოლეჯის ყველა მოქმედი თანამშრომლის ინფორმირება სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენაზე, ასევე თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი ცნობების განთავსება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 10.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**

ინდიკატორი 5.1.1.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „ნაწილობრივ შესაბამისი“, ვინაიდან კოლეჯის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები არ არის ხელმისაწვდომი შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის, მეორე სართულზე ასასვლელ მრგვალ კიბეზე ვერ ხერხდება შშმ პირთათვის პანდუსის მოწყობა, **კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა (19/05/2022 წ, ბრძანება N 1/46) , რომლის თანახმად დადგენილი სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება განხორციელდება წლინახევრის ვადაში(1/7/2022-22/12/2023წ). დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

რეკომენდაცია 2023 წლის 22 დეკემბრამდე განახორციელოს გეგმით გათვალისწინებული სპეციფიკური მონაცემების კონსტრუქციის ან ლიფტის მოწყობა.

ინდიკატორი 5.1.2.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან კოლეჯს გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა. **კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა (19/05/2022 წ, ბრძანება N 1/46), რომლის თანახმად დადგენილი სტანდარტის მოთხოვნების (დადებითი დასკვნის მოპოვება)დაკმაყოფილება განხორციელდება ექვსი თვის ვადაში (1/7/2022-22/12/2022). დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია აღნიშნულ ვადებში განახორციელოს გეგმით განსაზღვრული ქმედებები.**

ინდიკატორი 5.2.2.1. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, პსდ-ში საქმისწარმოება არ მიმდინარეობს კანონმდებლობასთან შესაბამისად, არ მიმდინარეობს გამოცემული აქტების, კერძოდ ოქმების და შემოსული კორესპონდენციის სწორი აღრიცხვა. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეჯის საქმისწარმოების წესის შესაბამისობაში მოყვანა, ოქმების და შემოსული კორესპონდენციის სწორი აღრიცხვის წარმოების უზრუნველყოფა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 15.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**

ინდიკატორი 5.1.2.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, დაწესებულებაში არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, რადგან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ცვლილებების შეტანის შემდეგ, 2022 წლის 3 ივნისს შესათანხმებლად გაეგზავნა ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვების და უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს (კორესპონდენცია N592189 - 03/06/2022წ), თუმცა ჯერჯერობით აღნიშნული დოკუმენტი არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან, მიმდინარეობს დოკუმენტის შინაარსობრივი გამართვა. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვების და უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

მე-2 სტანდარტი (პიანისტ აკომპანიატორის“ და „მუსიკოს რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები)
ინდიკატორი 2.2.1.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან „პიანისტ აკომპანიატორის“ და „მუსიკოს რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა სამუსიკო ხელოვნებაში“ განმახორციელებელ პირად განსაზღვრულია არაკვალიფიციური პირი (იურისტი), მაშინ როცა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განხორციელების უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N3 დანართში ცვლილებების შეტანა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით,ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ინდიკატორი 2.3.1.1.კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს პროგრამის დაგეგმვა/შემუშავებას, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობას და პროგრამებში ცვლილებების ინიცირებას, ანუ არის როგორც შემსრულებელი, ასევე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირიც, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, შესაბამისად ის ვერ განახორციელებს პროგრამების ობიექტურად შეფასებას და განვითარებას. დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად დირექტორის მოადგილე-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, როგორც მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების დაზუსტება და გამიჯვნა, ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვა, შესაბამისი ცვლილებების შეტანა „სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით, 15 დღის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ინდიკატორი 2.4.2.3. კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, ფაქტობრივი გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ხორციელდება მათი აღრიცხვა. **დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, გეგმის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში" შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესის დამატება და შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით, ერთი თვის ვადაში. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.**

განვითარების მიზნით გაცემული რეკომენდაციები
1,3,4,5 სტანდარტი
ინდიკატორი 1.1.1.2.
კოლეჯის მისიის ტექსტი შედგება 2 ნაწილისაგან, შესავალი და ძირითადი ტექსტი, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია, დაწესებულებამ გადახედოს მისიის შინაარსს, ჩამოყალიბდეს ერთიანი ფორმულირებით, ასევე სტრატეგიულ გეგმაში, შესაძლებლობებში დაფიქსირებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ასახოს მისიაში.

ინდიკატორი 3.2.1.5
ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული კითხვარები არ ითვალისწინებს სტუდენტების მიერ დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების/ადმინისტრაციული მხარდაჭერის, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის, საბიბლიოთეკო რესურსის შეფასების და სხვა საკითხებს. დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, კითხვარის შინაარსი დაკორექტირდეს იმგვარად, რომ სრულად იძლეოდეს დაწესებულების ყველა პროცესისა თუ სერვისის შეფასებას პროფესიული სტუდენტების მხრიდან, რაც დაეხმარება დაწესებულებას ხარისხის გაუმჯობესებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ინდიკატორი 3.2.2.3

დაწესებულების მიერ ჩატარებულ არცერთ კვლევის ანგარიშში არ ჩანს რა რაოდენობის რესპონდენტებია გამოკითხული სამიზნე ჯგუფიდან. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, კვლევის ანგარიშებში დაზუსტებული იყოს შერჩევის ჩარჩო და შერჩევის მოცულობა, რათა ანგარიშში ჩანდეს კვლევის რელევანტურობა და ნათელ სურათს იძლეოდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

ინდიკატორი 4.1.1.1

დაწესებულებას ჰყავს დირექტორის მოადგილე-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დამხმარე სპეციალისტი, ვინაიდან ეს ორი პოზიცია თავისი შინაარსით ერთ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, შემდგომი განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია გადაიხედოს და სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურად.

ინდიკატორი 4.1.2.1

ვინაიდან შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულ პირს შორის შრომითი-სამართლებრივი საკითხების მომწესრიგებელ დოკუმენტს, შემდგომი განვითარების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, პროფესიულ სტუდენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები დაარეგულიროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სადაც განსაზღვრულია მსგავსი დებულებები.

ინდიკატორი 4.1.2.3

საშტატო განრიგით განსაზღვრული, რიგი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა, თუმცა ამ მიმართულებით შესაბამისი ცოდნის და უნარების ფლობის დოკუმენტი განთავსებულია მხოლოდ ერთი პირის პირად საქმეში (ქსელის ადმინისტრატორი), დაწესებულების განმარტებით დოკუმენტში არის ტექნიკური ხარვეზი, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, გადახედოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დააზუსტოს მსგავსი ჩანაწერები, ვინაიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა მოიცავს ფართო სპექტრს.

ინდიკატორი 4.2.1.2

დაწესებულების 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პერსონალის განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თუმცა არ არის დეტალური ინფორმაცია, რა სახის ღონისძიებებს გეგმავს დაწესებულება პერსონალის განვითარების კუთხით და არ არის ასახული შესაბამისი ბიუჯეტი, რა სახსრებით გეგმავს კოლეჯი დასახული მიზნის მიღწევას, შემდგომი განვითარების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში ჩაშალოს პერსონალის განვითარების კუთხით დაგეგმილი აქტივობები და გაწეროს შესაბამისი ფინანსური რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ინდიკატორი 5.2.3.2

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება არ ახორციელებს უცხოენოვან პროგრამებს, კოლეჯი ხშირად ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და ფესტივალებში. შესაბამისად, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, საკუთარი შეხედულებისამებრ ვებგვერდზე განათავსოს უცხოურ ენაზე ის ძირითადი ინფორმაცია (მაგ: მისია, ხედვა, ღირებულებები) რაც, მისი საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებისთვის გასაზიარებლად მიაჩნია საჭიროდ.

მე-2 სტანდარტი

ინდიკატორი 2.1.1.1.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის, დაწესებულებას - შემდგომი განვითარების მიზნით ეძლევა რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და ასახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია, დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ასევე, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ზემოაღნიშნული კოლეჯს დაეხმარება როგორც არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლის, ისე სამომვალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას.

ინდიკატორი 2.4.2.1.

დაწესებულების პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი არ მოიცავს ინფორმაციას: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის, განმეორებითი შეფასების და შედეგების გასაჩივების ვადებთან დაკავშირებით, დაწესებულებას ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია, რომ მარეგულირებლით განისაზღვროს სტუდენტთა შეფასების, განმეორებითი შეფასების, შედეგების გასაჩივებისა და შეფასების შედეგების გაცნობის ვადებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1.პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

2.მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის, როგორც საქართველოში ერთადერთი მონოპროფილური, სამუსიკო მიმართულების კოლეჯის, მისიაა: პროფესიული სტუდენტების/მსმენელების თანამედროვე სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. მისია მოიცავს პროფესიული განათლების მიზნებსაც, როგორიცაა მაგალითად მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა შრომის ბაზრის კონკურენტუნარიანი კადრებით მომარაგების გზით. ჩანს ასევე, ინდივიდის პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. ექსპერტთა შეფასებით პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

კოლეჯი არის მონოპროფილური, სამუსიკო მიმართულების, სწორედ ამ მიმართულებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს. მისიიდან ჩანს, რომ დაწესებულება ხედავს საკუთარ როლს განათლების სისტემაში - მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების მომზადება და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. დღეს კოლეჯი ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ახორციელებს სამუსიკო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. სწორედ ეს ნიშა განასხვავებს მას სხვა პსდ-სგან; ასევე კოლეჯის სამოქმედო გეგმაში, კოლეჯის პროფილიდან გამომდინარე, ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი უკავია სტუდენტთა მონაწილეობით დაგეგმილ კულტურულ, შემოქმედებით ღონისძიებებს. კოლეჯი ყოველთვის იყო და არის რეგიონის კულტურული ცხოვრების ცენტრი. იმართება სტუდენტთა და მასწავლებელთა კონცერტები, სტუდენტები მონაწილეობენ ფესტივალებში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ხელს უწყობენ მათ სხვადასხვა შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და განვითარებაში, აცნობენ ფართო აუდიტორიას, როგორს ქვეყნის გარეთ ასევე საერთაშორისო კუნკურსებში, სტრატეგიულ დოკუმენტში ასევე შესაძლებლობად განსაზღვრულია საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა; დაწესებულების წარმომადგენლებმაღ აღნიშნეს კოლეჯის საგუნდო კოლექტივების მაღალმა დონემ და მისი პარტნიორის-გორის ქალთა კამერული გუნდის ავტორიტეტმა განაპირობა 20 წლის წინ შეწყვეტილი გორის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის აღდგენა. კოლეჯის საგუნდო დირჟორობის მიმართულების, რომელიც საქართველოში საუკეთესო პროფესიული კადრებით არის დაკომპლექტებული, და, სამწუხაროდ, გუნდის ლოტბარის/რეგენტის პროფესიული პროგრამა გაუქმდა, ამის მიუხედავად პრიორიტეტია საერთაშორისო შემოქმედებითი კონტაქტების დამყარება საუკეთესო კამერულ და ბავშვთა საგუნდო კოლექტივებთან) .

1.1.1.2.<u>კოლეჯის მისიის ტექსტი შედგება 2 ნაწილისაგან, შესავალი და ძირითადი ტექსტი, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს მისიის შინაარსს, ჩამოყალიბდეს ერთიანი ფორმულირებით და სტრატეგიულ გეგმაში შესაძლებლობებში დაფიქსირებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ასახოს მისიაშიც.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

პსდ 2026 წლისთვის საკუთარ თავს ხედავს როგორც სამუსიკო მიმართულების წამყვან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული კადრებით უზრუნველყოფს სამუსიკო სფეროში არსებული საკადრო დეფიციტის აღმოფხვრას. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს, ასევე, ის ძირითადი ღირებულებები, რომლითაც ხელმძღვანელობს წარმატებული საქმიანობისთვის, ესენია: გუნდური მუშაობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა, პროფესიონალიზმი და სხვ. ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, სადაც წერია მისია ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე , ასევე, აღნიშნული ინფორმაცია შეტანილია განვითარების გეგმებში, რომელიც ასევე გამოქვეყნებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და მისი შემუშავება მოხდა ფართო საზოგადოებრივი ჩართულობით: კოლეჯის დამფუძნებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით. მისია, ხედვა და ღირებულებები ასევე განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ Facebook გვერდზე, რათა მაქსიმალურად მრავალფეროვანი აუდიტორიისათვის იყოს ხელმისაწვდომი. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები, ასევე, განთავსებულია კოლეჯის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შეხვედრის ოქმები, ნიუსები, მიმოწერა დაინტერესებულ მხარეებთან, უკუკავშირის დამადასტურებელი წერილები, მისია ხელმისაწვდომობა ფიზიკურ და ვირტუალურ სივრცეში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 წლები. დამტკიცებულია სსიპქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N1/51 20.07.2020წ;
- სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია. დამტკიცებულია: სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის ბრძანებით № 1/40, 09.07.2020წ.
- მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებული კოლეჯის ვებ-გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოგოლოგია;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

დაწესებულებაში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია (ბრძ. № 1/40, 09.07.2020წ.), რომლითაც განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურები, მონიტორინგის, ცვლილების შეტანისა და გაზიარების მექანიზმები, დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პროცესებს რომლის დაცვითაც დაწესებულება განახორციელებს სტრატეგიული გეგმის შედგენას.ასევე სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურებს; სტრატეგიული გეგმის ცვლილებების შეტანის პროცედურებს; შეტანილი ცვლილებების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გზებს. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 7წელს. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელდა კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (არანაკლებ 3 წევრი). ჯგუფში შევიდნენ თანამშრომლები, პროფესიული განათლების მასწავლებელი და დამსაქმებლის წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელი იყო დოკუმენტების შემუშავების პროცესში კოლეჯის თანამშრომელთა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე.

2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ერთობლივი მუშაობის შედეგია. იგი მიმოიხილავს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2020-2026 წლებში. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, შემუშავდა ,,სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ განისაზღვრებიან კოლეჯის დირექციის/ადმინისტრაციის, წარმომადგენლები, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული და სხვა დაინტერესებული პირები. საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N114/ნ ბრძანებით დაფუძნდა ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის უფლებამონაცვლედ. რომელიც, თავის მხრივ, 55 წლიანი ტრადიციების მქონე საშუალო სპეციალური სასწავლებლის-გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის უფლებამონაცვლედ დაფუძნდა 2011 წელს. 2018 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაერთიანებამ კოლეჯის სახელწოდების, წესდებისა და დაფინანსების წესის შეცვლამ გამოიწვია კოლეჯის 2017-2022წწ. ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შეცვლის საჭიროება (2019-2024 წლები), ხოლო ახალი პროფესიული სტანდარტების დამტკიცებისა და სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების შემდეგ საჭირო გახდა ახალი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება (2020-2026 წლები). სტრატეგიული გეგმა შემუშავდა გუნდურად, აქტიური ჩართულობით, თანამშრომლობისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე, კვლევების/პროგნოზების, წინა წლების სამოქმედო გეგმების შეფასების, შედეგების, ანალიზის, ანგარიშებისა და დასკვნების გათვალისწინებით და სხვა. შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტები დამტკიცებამდე განხილული იქნა დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ შეხვედრების ფორმატში. ჩატარებული შეხვედრების შემდეგ კოლეჯის სტრატეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, დოკუმენტები დამტკიცდა დირექტორის მიერ და განთავსდა კოლეჯის ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

სსიპ-ქ.გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში დასახული მიზნები სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. გეგმაზე მუშაობისას მოხდა არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა SWOT ანალიზის მატრიცის საფუძველზე. კოლეჯის მიერ შემუშავებულია სტრატეგიული გეგმა 2020-2026 წლებისთვის, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 20 ივლისს. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 3 მიზანი: 1. მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება; 2. სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; 3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებები, მესამე სტრატეგიული მიზნის ფორმულირებით ვერ დგინდება კოლეჯის მიზანი რა არის, მიზნის ფორმულირება უნდა იყოს მოკლე, ლაკონური და გასაგები, ასევევ რელევანტური, შემდგომი განვითარებიზს მიზნით <u>სასურვლია დაწესებულებამ გადახედოს მიზნების ფორმულირებას და სტრატეგიული მიზნები ჩამოაყალიბოს მოკლე/კონკრეტული წინადადებებით, რომელიც მკაფიოდ გვაჩვენებს რას გულისხმობს მიზანი;</u>

სტრეტეგიული და სამოქმედო გეგმებში არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან მიზნების ფორმულირებები და შინაარსი, ასევე მიზნის მიღწევის ამოცანები. მაგ. სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული პირველი სტრტეგიული მიზნის მიღწევისათვის - მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება - სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ამოცანები აცდენილია სტრატეგიული გეგმის მიზანს, ვინაიდან სამოქმედო გეგმაში აღნიშნული მიზნის ქვეშ გაერთიანებულია ისეთი ამოცანები, რომელიც სცდება „მენეჯმენტი სისტემის გაუმჯობესების“ გზებს. მაგალითად, ეს მიზანი აერთიანებს ამოცანებს, როგორიცაა: სახელოვნებო განათლების რეფორმა, საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია და კოლეჯის ცნობადობის გაზრდა, პროფესიული სტუდენტების მოზიდვის მაჩვენებლების ამაღლება და ა.შ.

ასევე სამოქმედო გეგმაში მოცემული ამოცანები არის ურთიერთგადამფარავი. მაგ: 1. საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია და კოლეჯის ცნობადობის გაზრდა, 2. საზოგადოებასთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა, 3. კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და სტუდენტთა საშემსრულებლო დონის ამაღლება. შესრულების ინდიკატორები ხშირ შემთხვევაში არ არის გაზომვადი, რაც კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული, ვერ ზომავს მიზნის მიღწევადობას. მაგალითად ერთ-ერთი ამოცანის -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია და კოლეჯის ცნობადობის გაზრდა, ინდიკატორია - კოლეჯის ვებ გვერდის და ფეისბუქ გვერდის მართვა, სოციალური ქსელების გააქტიურება, სიახლეების ფართო მასებისთვის გაზიარება, ინტერვიუების წარმოება, დაინტერესებულ პირებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაც - ეს ფაქტობრივად ინდიკატორები კი არა აქტივობებია. შესრულების ინდიკატორებში უნდა ჩაწერონ ის რაოდენობრივი მაჩვენებლები ან გარემოება, რაც უნდა დადგეს, რათა აქტივობა შესრულებულად ჩაითვალოს;

2022 წლის სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, ინდიკატორები, განხორციელების ვადები, მტკიცებულებები და შემსრულებლები, თუმცა კონკრეტული აქტივობების შესასრულებლად აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსი სრულად არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად ვერ დგინდება რა რესურსებით შეიძლება დასახული ამოცანების განხორციელება. გაზომვადობის კუთხით გადასახედია ასევე გეგმებში წარმოდგენილი მიზნების მიღწევის ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები. რაც შეეხება პასუხისმგებელი /შემსრულებელი პირებს, ამ კუთხით ექსპერტების მხრიდან შემოწმდა წარმოდგენილი პირების სამუშაო აღწერილობები, უმეტესი ამოცანების შემსრულებელია დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე სპეციალისტი, პირს/სტრუქტურულ ერთეულს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება(დეტალურად იხ,4.1.1.3).

<u>სტარტეგიული და სამოქმედო გეგმები არ არის შემუშავებული პსდ-ს მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაცული არ არის: მიზნების, ამოცანების, შესრულების ინდიკატორების ფორმულირება (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, დროში გაწერილი) არ არის ასევე განსაზღვრული ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი საპროგნოზო ბიუჯეტი/ფინანსური რესურსი, შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.</u> დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა(ცვლილების შეტანა), სტრატეგიულ და ერთწლიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სამოქმედო გეგმებში მიზნების, ამოცანების, შესრულების ინდიკატორები ზუსტი ფორმულირება, განსაზღვრული ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი საპროგნოზო ბიუჯეტი/ფინანსური რესურსის განსაზღვრა, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირება, განხილვა და დამტკიცება დაწესებულებას დაგეგმილი აქვს **12.11.2022 დან-11.12.2022 ჩათვლით პერიოდში, ერთი თვის ვადაში.** <u>დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგია;
- უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, სამოქმედო გეგმა ;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

1.2.2.პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ, დირექტორის 2020 წლის 9 ივლისის N 1/40 ბრძანებით კოლეჯში დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმარების სახელმძღვანელოდ შემუშავებული ,,სსიპ-ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია," რომელშიც აღწერილია, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგზე პასუხიმგებელია კოლეჯის დირექტორის მოადგილე (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი). მონიტორინგის შედეგების განხილვა და ანალიზი ხორციელდება კოლეჯში ღია შეხვედრებზე განხილვით; სტრატეგიული მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და რეაგირების გზით. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია გეგმების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა ნახევარწლიური და წლიური ანგარიშების წარმოდგენა, მყარდება დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი გამოკითხვების სახით.

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგების განხილვა და ანალიზი ხორციელდება კოლეჯში, წელიწადში ერთხელ, ღია შეხვედრებზე განხილვით. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ხოლო გარკვეული ინდიკატორების თაობაზე ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი ხორციელდება პერიოდულად ღია შეხვედრებზე განხილვის გზით. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის დირექტორის მოადგილე (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2022 წლის 20 იანვარს წარმოდგენილ იქნა 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ივლისის ბოლოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების შუალედური შეფასება. სამოქმედო გეგმის საბოლოო ანგარიშიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა იმ აქტივობების(მაგ. მატერიალური რესურსების განახლება/მოწესრიგება) გადმოტანა ახალ სამოქმედო გეგმაში, რომლის განხორციელება შეფერხდა წინა წელს, დაწესებულების განმარტებით და სამოქმედო გეგმის ანგარიშით აქტივობების შეუსრულებლობის ძიტითადი მიზეზი იყო პანდემიური მდგომარეობა.

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული შედეგების განხილვა ხდება კოლეჯში, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაო შეხვედრებზე. წლის შემაჯამებელი ანგარიშის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისათვის ხორციელდება მისი ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით https://www.gorimuscollege.edu.ge/index.php/joomla/the-mission-of-the-college-2/2020-2026-strategic-plan#. ვებგვერდზე განთავსებულია, ასევე 2016, 2017, 2018, 2019, 2020 და 2021 წლების წლიური ანგარიში და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები და გეგმები;
- შეხვედრის ოქმები, სამუშაო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები;
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები;
- შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები
3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა
3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია
1.პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4.პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5.პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის #1/59 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41 §5 07.06..2022წ.) დამტკიცებულია სსიპ ქ. გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან და პსდ-ში ჩარიცხვასთან დაკავშირებულ საკითხებს. წესში მოცემულია სტუდენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, დაინტერესებულ პირთა კონსულტირების საკითხები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები (მათ შორის შემოქმედებითი ტურის ჩატარების მიდგომები), აპელაციის წესი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა.

ჩარიცხვის წესით განსაზღვრულია, ასევე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა: ა)პირადი განცხადება (სსსმ და შშმ პირების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი; დ) 4 ფოტოსურათი. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ივნისის N1/18 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/6, 03.02.2021წ) დამტკიცებულია სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის შრომის შინაგანაწესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის პირადი საქმის შესახებ საკითხი (მუხლი 29), რომელიც მოიცავს საბუთების მიღების ყველა ეტაპზე წარმოდგენილ დოკუმენტს: ა) პირადი (კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) 2 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე; დ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი (ნოტარიალურად დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე. ე) დისციპლინის დარღვევის ან/და წახალისების ზომის გამოყენების შესახებ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს; ვ) მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. ზ) ნებისმიერ ისეთ დოკუმენტს, რომელიც პირდაპირ და უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებებსა და მოვალეობებთან. გადამოწმდა დირექტორის ბრძანება დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადების და დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

დაწესებულების ჩარიცხვის წესში მოცემულია ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვასთან დაკავშირებით (მუხლები: 17, 18,19). აღნიშნული პირების ჩარიცხვის პროცედურა არ არის შესაბამისობაში ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანების შესაბამისად. წესში გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

პირთათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის, შემოქმედებითი ტურის გავლის პროცედურებისა და ამ ტურის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესახებ საკითხები. კანონმდებლობის შესაბამისად სსსმ პირების ჩარიცხვა ხორციელდება ალტერნატიული შერჩევის მეთოდის გამოყენებით - პრაქტიკული მოსინჯვის გზით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას არ ყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები არც რეგისტრირებული, არც ჩარიცხული.

ასევე ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკაში განხორციელების შესწავლის მიზნით, ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურები. 2022 წლის 7 ოქტომბერს გამოიცა კოლეჯის დირექტორის N2/13 ბრძანება 2022 წლის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის რეპეტიტორი“ პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ და N2/12 ბრძანება 2022 წლის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „პიანისტ აკომპანიატორი“ პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ. დირექტორის 2022 წლის 2 მაისის 1/28 ბრძანება 2022 წლის შემოქმედებითი ტურების აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების შესახებ. დირექტორის 2022 წლის 24 აგვისტოს N2/9 სსიპ ქალაქ გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მუსიკის რეპეტიტორი“ და „პანისტ აკომპანიატორი“ შემოქმედებით ტურზე აპლიკანტთა დაშვების შესახებ. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 10 აგვისტოს 1/59 ბრძანება 2022 წლის შემოქმედებითი ტურის საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 12 აგვისტოს 1/61 ბრძანება შემოქმედებითი ტურის მოთხოვნების და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ. შემოქმედებითი ტურის შედეგების უწყისი (13.09.2022). აღნიშნული პროცესები განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. გადამოწმდა, ასევე, სტუდენტების პირადი საქმეები და ამ მხრივ ყველაფერი შესაბამისია კანონმდებლობასთან.

კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის #1/22 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში **სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში** მოცემულია სტუდენტის შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის შესახებ საკითხები. აღნიშნული წესი არეგულირებს, ასევე, მობილობის, ფორმალური, არაფორმალური, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საკითხებს. ამავე წესით (მუხლი 5), უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის შემდგომი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის შემთხვევაში კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასევე, დაწესებულებას რეგულაციაში ასახული აქვს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 5) გათვალისწინებული უფლება „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია“. მარეგულირებლში მოცემულია, ასევე, პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის (მუხლი 5), მხარდაჭერის ღონისძიებების (მუხლი 9), სტუდენტური სერვისების (მუხლი 10), დისტანციური სწავლების (მუხლი 12), სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ჩართვისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ საკითხები (მუხლი 13). სტუდენტის სტატუსის **შეჩერება, შეწყვეტა, მობილობასთან** დაკავშირებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით, ექსპერტებმა გამოითხოვეს აღნიშნული პროცესების ამსახველი დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 22 სექტემბრის N2/11 ბრძანებით ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბრძანებას თან ახლავს აღნიშნული სტუდენტის პირადი განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ. ასევე, კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 8 ივლისის N2/8 ბრძანებით ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს შეუწყდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. სტატუსის შეწყვეტის საფუძველი იყო სტატუსის შეჩერებიდან სამწლიანი ვადის გასვლა. აღნიშნული პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტისა და შეჩერების შესახებ საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სტატუსის აღდგენის შემთხვევა არჰქონიათ. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა, **მობილობის** პრაქტიკაც. დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტები. პროფესიული სტუდენტის განცხადება (23.09.2021) „პიანისტ-აკომპანიატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან „მუსისკის რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლის თხოვნის შესახებ; შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მიზნით შექმნილი სწავლის შედეგების თავსებადობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დამდგენი კომისიის სხდომის ოქმი (06.10.2021); სტუდენტის თანხმობა, სადაც დადასტურებულია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მონაწილეობა (29.10.2021); სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 ოქტომბრის N1/85 ბრძანება სტუდენტის ერთი პროგრამიდან მეორე პროგრამაზე შიდა მობილობით გადაყვანის შესახებ. კომისიის ოქმში აღნიშნულია, რომ ორივე პროგრამა შემუშავებულია ერთი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სამუსიკო ხელოვნება), შესაბამისად, ზოგადი და საერთო მოდულები ორივე პროგრამისთვის იდენტურია. კომისიის წევრების მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების შესწავლისა და შედარების საფუძველზე სტუდენტს უღიარდა 33 კრედიტი იმ მოდულებისთვის რაც საერთოა ორივე პროგრამისთვის (ინფორმაციული წიგნიერება, ინგლისური ენა, ფორტეპიანო 1, მუსიკის გამომსახველობითი ხერხების შესწავლა, გერმანული ენა, რუსული ენა, იტალიური ენა, ქართული პროფესიული მუსიკის მოსმენა და აღქმა). გარდა ამისა, ოქმში ნახსენებია, რომ ორივე პროგრამის საერთო მოდულები (მუსიკალური სმენის განვითარება, საზღვარგარეთის მუსიკის მოსმენა და აღქმა, ვოკალის აკომპანიმენტი 1, ჯამში 22 კრედიტი) პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს, რომელსაც აღნიშნული სტუდენტი ესწრება. ასევე, ხაზგასმულია, რომ მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შვიდი მოდულის (ჯამში 37 კრედიტი) განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად სტუდენტი შეძლებს აღნიშნული მოდულების შეუფერხებლად გავლას, პროგრამის შეცვლის შემდეგ. ოქმის მიხედვით, რჩება მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 3 მოდული, რომელიც უკვე დასრულებულია (ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა, კომპიუტერული მუსიკალური პროგრამები და საგანმანათლებლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა, ჯამში 14 კრედიტი). აღნიშნული მოდულების განმახორციელებელი პირებისა და თავად სტუდენტის მონაწილეობით შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის საშუალებითაც სტუდენტი მოიპოვებდა 14 კრედიტს. ოქმს თან ახლავს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დარჩენილი სამი მოდულისთვის. დოკუმენტებში წარმოდგენილია, ასევე, ხარისხის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (17.12.2021), სადაც მოცემულია, რომ სტუდენტის სწავლება განხორციელდა შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. აღნიშნული პროფესიული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. (evet.emis.ge). ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი იცავს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულ დებულებებს. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ივნისის N1/18 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/6, 03.02.2021წ) დამტკიცებულია სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის შრომის შინაგანაწესის თავი I, მუხლი 9 (პუნქტი 5 და 6). არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საკითხებს. შრომის შინაგანაწესის მე-7 თავის რეგულირდება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები (მუხლი 21) და ვალდებულებები (მუხლი 22); კოლეჯის ტერიტორიაზე სტუდენტების/მსმენელების ქცევის წესები (მუხლი 25); დისციპლინური პასუხისმგებლობი საფუძვლები (მუხლები: 26, 27, 28); პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე (მუხლი 29). ამავე შინაგანაწესით რეგულირდება პროფესიული სტუდენტების მიერ მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და სხვა საშუალებებით სარგებლობა (თავი 9, მუხლები: 33, 34).

<u>კოლეჯის შიდა რეგულაციებით არ არის უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, კერძოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა არ არის შესაბამისობაში „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან, რომელიც ადგენს ასეთი პირებისთვის ალტერნატიული შერჩევის მეთოდის გამოყენებას - პრაქტიკული მოსინჯვის გზით. ასევე დაწესებულებამ აპლიკანტების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხაში აუცილებლად უნდა ქონდეს განსაზღვრული „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მიერ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის #147 ბრძანებით განსაზღვრული, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული დოკუმენტი, ხოლო არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენლობის დადასტურების მიზნით, დამატებით განისაზღვროს მშობლის/კანონიერი წარმომადგენელობის დამადასტურებელი დოკუმენტის, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა. შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.</u>

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად ,,სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესში" სათანადო ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

2.პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, სტუდენდების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და სწავლების საწყის ეტაპზევე აცნობს საკუთარ უფლებებს. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ კარგად იცნობენ საკუთარ უფლებებს: თავისუფლად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები; მოითხოვონ სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო; ისარგებლონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით; მოითხოვონ პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან/სასწავლო პროცესის მონაწილეთაგან მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება; მოითხოვონ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება; მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების, შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ; გამოიყენონ შეფასების გასაჩივრების და განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება და სხვა. სტუდენტების მიერ მათ უფლებების გაცნობის ფაქტი დასტურდება სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.**

3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

შეფასების სისტემის აღმწერი პროცედურა გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას, სტუდენტების შეფასების სისტემაზე, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევასა და ვერიფიკაციაზე. შეფასების საკითხები რეგულირდება, ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომლის 9.1 პუნქტების თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისაზრისით. შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების გაცნობა და ინდივიდუალური კონსულტაცია წარმოებს კონფიდენციალურად. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სტუდენტებს სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებელი შეფასების განხორციელებამდე აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ. ასევე, აღნიშნეს, რომ აქვთ ინფორმაცია გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა საჭიროება არ დამდგარა. შეფასების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით სტუდენტებმა განაცხადეს, რომ მასწავლებელი ინდივიდუალურად აცნობს შედეგებს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.**

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

შრომის შინაგანაწესის თავი I, მუხლი 9 (პუნქტი 5 და 6). არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ხელშეკრულებების ნიმუშების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები. 2020-21 წწ მიღებული ყველა პროფესიული სტუდენტი არის სრულწლოვანი, ხელშეკრულებას ხელს აწერს დაწესებულების დირექტორი და პროფესიული სტუდენტი. **ზემოაღნიშნულის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5.პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 13) მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართული პირების შემადგენლობას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში პროფესიული სტუდენტების ჩართულობის შესახებ საკითხებს. აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) ვირუსული ინფექციის პანდემიის დროს პროფესიული განათლების სტუდენტისთვის, რომელიც იმყოფება კარანტინში ან თვითიზოლაციაში (საჭიროებისამებრ). ექსპერტებმა შეისწავლეს **ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პრაქტიკა შიდა მობილობით** გადასული პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული სტუდენტის განცხადება (23.09.2021) „პიანისტ-აკომპანიატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან „მუსისკის რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით გადასვლის თხოვნის შესახებ; შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მიზნით შექმნილი სწავლის შედეგების თავსებადობის დამდგენი კომისიის სხდომის ოქმი (06.10.2021); სტუდენტის თანხმობა, სადაც დადასტურებულია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მონაწილეობა (29.10.2021); სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 29 ოქტომბრის N1/85 ბრძანება სტუდენტის ერთი პროგრამიდან მეორე პროგრამაზე შიდა მობილობით გადაყვანის შესახებ. კომისიის ოქმში აღნიშნულია, რომ ორივე პროგრამა შემუშავებულია ერთი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (სამუსიკო ხელოვნება), შესაბამისად, ზოგადი და საერთო მოდულები ორივე პროგრამისთვის იდენტურია. კომისიის წევრების მიერ დადასტურებული სწავლის შედეგების შესწავლისა და შედარების საფუძველზე სტუდენტს უღიარდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

33 კრედიტი იმ მოდულებისთვის რაც საერთოა ორივე პროგრამისთვის (ინფორმაციული წიგნიერება, ინგლისური ენა, ფორტეპიანო 1, მუსიკის გამომსახველობიი ხერხების შესწავლა, გერმანული ენა, რუსული ენა, იტალიური ენა, ქართული პროფესიული მუსიკის მოსმენა და აღქმა). გარდა ამისა, ოქმში ნახსენებია, რომ ორივე პროგრამის საერთო მოდულები (მუსიკალური სმენის განვითარება, საზღვარგარეთის მუსიკის მოსმენა და აღქმა, ვოკალის აკომპანიმენტი 1, ჯამში 22 კრედიტი) პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს, რომელსაც აღნიშნული სტუდენტი ესწრება. ასევე, ხაზგასმულია, რომ მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შვიდი მოდულის (ჯამში 37 კრედიტი) განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად სტუდენტი შეძლებს აღნიშნული მოდულების შეუფერხებლად გავლას, პროგრამის შეცვლის შემდეგ. ოქმის მიხედვით, რჩება მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 3 მოდული, რომელიც უკვე დასრულებულია (ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა, კომპიუტერული მუსიკალური პროგრამები და საგანმანათლებლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფა, ჯამში 14 კრედიტი). აღნიშნული მოდულების განმახორციელებელი პირებისა და თავად სტუდენტის მონაწილეობით შემუშავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის საშუალებითაც სტუდენტი მოიპოვებდა 14 კრედიტს. ოქმს თან ახლავს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დარჩენილი სამი მოდულისთვის. დოკუმენტებში წარმოდგენილია, ასევე, ხარისხის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (17.12.2021), სადაც აღნიშნულია, რომ აღნიშნული სტუდენტის სწავლება განხორციელდა შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. ექპსერტების მხრიდან განხორციელდა გასაუბრება შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან და წარმოდგენილი მასალებისა და გასაუბრების შედეგების ანალიზი. დადგინდა, რომ **კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 24 ივლისის #1/59 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41 §5 07.06..2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი
- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის #1/22ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41, §3. 07.06.2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის #1/42 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41 §5 07.06..2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ივნისის N1/18 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/6, 03.02.2021წ) დამტკიცებული სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის შრომის შინაგანაწესი;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების მიერ ასახული ინფორმაცია;
- პსდ-ს პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები და ფაქტობრივი გარემოებები;
- პსდ ოფიციალური ვებ და სოციალური გვერდები;
- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარეგულირებელი წესები;
- პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- ინდ. სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია; პროფესიული სტუდენტისათვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა; ადმინისტრაციასთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 10-ე მუხლის თანახმად, კოლეჯი სწავლის პერიოდში უზრუნველყოფს სტუდენტებს საკონსულტაციო მომსახურებით, პროფესიული განათლების მასწავლებლები სისტემატურად უწევენ კონსულტაციებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამავე წესის 9.1 და 9.4 პუნქტების თანახმად, პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისაზრისით. შეხვედრის ფაგრლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის შედეგების გაცნობა და ინდივიდუალური კონსულტაცია წარმოებს კონფიდენციალურად. ამ მოთხოვნის დარღვევა მიიჩნევა გადაცდომად. აღნიშნული დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებითაც. ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით მოხდა სტუდენტთა ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე წვდომის შესწავლა. ამის დასადასტურებლად წარმოადგინეს სტუდენტების ბაზა, ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ხელმისაწვდომობის შესახებ. ინტენსიურად მიმდინარეობდა დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისთვის მოდულების ადაპტაცია და სტუდენტთა კონსულტირება. ადაპტირებისას გათვალისწინებული იქნა სტუდენტთა უკუკავშირიც. მოხდა ცვლილებები სასწავლო გეგმებში, შეიცვალა თეორიული და პრაქტიკული მოდულების თანმიმდევრობა, ისე, რომ არ დარღვეულიყო წინაპირობების დაცვისთვის საჭირო შუალედები. რამდენჯერმე შეიცვალა მოდულების დაწყება-დასრულების თარიღები.

ინტერვიუირებით დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების შესახებ უკუკავშირის მიღებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტები განმახორციელებლებისგან რეგულარულად იღებენ მითითებებს და რჩევებს როგორც შეფასებამდე, ასევე შეფასების შემდგომ. ასევე, გასაუბრებით დასტურდება, რომ ყოველდღიურ სალექციო რეჟიმში მასწავლებლები აძლევენ მითითებებს და რჩევებს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის თანახმად, კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან როგორც სწავლების საწყის ეტაპზე, ასევე, სწავლის მიმდინარეობისას. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევენ დაწესებულების სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერი, კერძოდ, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის პირველივე სასწავლო დღეს ეწყობა გაცნობითი შეხვედრა, სადაც ხორციელდება პროფესიული სტუდენტების ინფორმირება დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ, სტუდენტებს ეძლევათ განმარტება დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ. აღნიშნული შეხვედრა სრულდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დაწესებულების შენობაში ექსკურსიის მოწყობით. ადმინისტრაციის სამუშაო აღწერილობების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობები მოიცავს სწავლის დაწყების მომენტიდან, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის საკითხები. ზემოაღნიშნულის გადასამოწმებლად, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ამსახველი მტკიცებულებები, მათ შორის შეხვედრების ფოტოები. ექსპერტები, ასევე, გაესაუბრნენ კოლეჯის სტუდენტებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დაადასტურეს რომ საინფორმაციო ტიპის შეხვედრები ჩატარდა სწავლის დაწყების წინ, ხოლო კონსულტაციებს და მხარდაჭერას სტუდენტები მუდმივ რეჟიმში იღებენ როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული მასწავლებლებისგან, რაც უადვილებს მათ სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. შესწავლილი მტკიცებულებებითა და ინტერვიუირებით **დასტურდება, რომ დაწესებულება, სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან,** რისთვისაც ახორციელებს სხვადასხვა გაცნობითი სახის აქტივობებს, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი სივრცეებისა და მოქმედი სერვისების შესახებ.

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 9.4 პუნქტის თანახმად. პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ცნობის გაცემა - მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტების მიერ, შესწავლილი იქნა შიდა მობილობის დოკუმენტები, მისი შიდა ადმინისტრაციული წარმოების პროცესი. ასევე, დიპლომის გაცემის დოკუმენტები. დოკუმენტაციით ირკვევა, რომ პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ, დროულად ხდება რეაგირება და მხარდაჭერის გაწევა, ამასთან საკითხების გადაჭრა ხდება პროფესიული სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ან სხვა სახის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრული ვადები არასდროს არ დარღვეულა, ასევე, სტუდენტებთან გასაუბრებითაც დადასტურდა რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

მხარდაჭერას. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ დასტურდება, რომ პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 10.2 პუნქტის თანახმად, კოლეჯი ხელს უწყობს დამატებითი აქტივობების განხორციელებას. პროგრამის განხორციელების პერიოდში სისტემატურად ეწყობა სტუდენტთა აკადემიური კონცერტები და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები. ამავე წესის მე-9 მუხლის (პუნქტები: 2, 3) თანახმად, სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პერიოდულად, ორგანიზებას უწევს პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება. ადმინისტრაციის სამუშაო აღწერილობების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ **სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის** ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს სწავლის დაწყების მომენტიდან, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის საკითხებს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ კოლეჯი ზრუნავს როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მათ სხვადასხვა შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და განვითარებაში. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა არაფორმალური აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები, პროფორიენტაციის მენეჯერის ანგარიშები და სხვადასხვა შეხვედრებისა და აქტივობების ამსახველი ფოტოები, წლების მიხედვით, მაგალითად:

- 2022 წლის 9 აპრილს კოლეჯის სტუდენტთა გუნდი მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ უკრაინისადმი სოლიდარობის კონცერტში.
- 2022 წლის 15 ივნისს კოლეჯში ჩატარდა კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა კონკურსის რეგიონული ტური, სადაც კოლეჯის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა მიიღეს მონაწილეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- 2020 წლის 7 თებერვალს პროფორიენტაციის მენეჯერის ინიციატივით არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციის ასოციაცია “Bridge to the Future” (”ხიდი მომავლისაკენ”)-ს წარმომადგენლის მიერ კოლეჯის სტუდენტთათვის გაიმართა სემინარი თემებზე: „ტრეფიკინგთან და ნარკომანიასთან ბრძოლა“.

გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე, აღნიშნეს, რომ კოლეჯში იგეგმება **სპეციალური ყუთის** განთავსება თვალსაჩინო ადგილას, რომელიც გამოიყენება სტუდენტური ინიციატივებისა და აქტივობების გაზიარებისთვის. მოხდება მათი განხილვა ინიციატორებთან ერთად და რეალური რესურსების შესაძლებლობების შესაბამისობიდან გამომდინარე დაიგეგმება მათი განხორციელება.
კოლეჯის სამოქმედო გეგმით, ასევე, დასტურდება, რომ კოლეჯს სტუდენტთა მონაწილეობით დაგეგმილი აქვს კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებები. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ დასტურდება, რომ პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კოლეჯი სტუდენტებისთვის მიწოდებული სერვისებისა და მათი ხარისხის შესახებ სისტემატურად იღებს უკუკავშირს სტუდენტებისაგან. სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი სისტემატურად (6 თვეში ერთხელ) აწარმოებს სტუდენტების გამოკითხვას მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით. გამოკითხვის საშუალებით სტუდენტები აფასებენ კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მოდულებს, სწავლების ხარისხს, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მასთან წვდომის შესაძლებლობებს, ონლაინ-სწავლების სპეციფიკას პანდემიის პირობებში და სამომავლოდ დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლების პერსპექტივებს. მათ სამომავლო გეგმებს დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების კუთხით.
სტუდენტთა გამოკითხვა მიმდინარეობს სატელეფონო ინტერვიუირების, ელექტრონული კითხვარების, დაბეჭდილი კითხვარების საშუალებით. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზი წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს დასკვნის მომზადების მიზნით, რომელიც შემდგომ SWOT ანალიზში აისახება და მიმართული იქნება სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დაწესებულებას ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით (ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი და მექანიზმები, დამტკიცებულია: № 1/45, 17.07.2020წ ბრძანებით, ცვლილება: N1/46. 08.06.2022წ) შემუშავებული აქვთ სტუდენთა გამოკითხვის ფორმები (კითხვარები). ***<u>თუმცა ეს კითხვრები ძირითადად ითვალისწინებს სასწავლო პროცესის, მასწავლებლისა და მასწავლებლისგან მიღებული კონსულტაციების/უკუკავშირის შეფასებას. არც კითხვარები და არც და წარმოდგენილი კვლევის ანგარიშები არ ითვალისწინებს სტუდენტების მიერ დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურების/ადმინისტრაციული მხარდაჭერის, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის, საბიბლიოთეკო რესურსი შეფასების და სხვა საკითხებს. შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია, რომ გადაიხედოს და დაკორექტირდეს კითხვარები სრულად იძლეოდეს დაწესებულების ყველა პროცესისა თუ სერვისისა შეფასებას პროფესიული სტუდენტების მხრიდან, რაც დაეხმარება დაწესებულებას ხარისხის გაუმჯობესებაში.</u>***

დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტების მიერ მასწავლებლებისა და სასწავლო კურსის შეფასების გამოკითხვის შედეგები (2021 წ.). გამოკითხვის მიზანი იყო პროფესიული სტუდენტების მოსაზრებების შეკრება-შეჯერება და სათანადო დასკვნების გამოტანა პროფესიული მასწავლებლისა და სასწავლო კურსის შეფასების შესახებ. გამოკითვის შედეგებით ჩანს, ყველა გამოკითხულმა პროფესიულმა სტუდენტმა გამოთქვა დადებითი მოსაზრება რომ პროფესიული მასწავლებლები ყოველთვის აცნობებ პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო მოდულებს, სასწავლო კურსის მიზნებსა და შეფასების სისტემას სასწავლო პროცესის დასაწყისშივე. ასევე გამოკითხულთა 99% თვლის, რომ პროფესიული მასწავლებლები ყოველთვის სრულად და გასაგებად ხსნიან თეორიულ მასალას, აქვთ შემოქმედებითი უნარი და როგორც სამუსიკო ხელოვნების წარმომადგენლები საკმაოდ აქტიურად და გასაგებად აწვდიან პრაქტიკულ მაგალითებს პროფესიულ სტუდენტებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება სტუდენტების უკუკავშიის საფუძველზე აუმჯობესებს მომსახურებას. მაგალითად, ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით კოლეჯი გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. ამისათვის განახორციელა გამოკითხვა სტუდენტთა ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე წვდომის შესწავლის მიზნით. ასევე, მოდულების ადაპტირებისას გაითვალისწინა სტუდენტების უკუკავშირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის #1/22ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41, §3. 07.06.2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის #1/42 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41 §5 07.06..2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ივნისის N1/18 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/6, 03.02.2021წ) დამტკიცებული სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის შრომის შინაგანაწესი;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N1/45 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/46, 08.06.2022წ) დამტკიცებული სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი და მექანიზმები;
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის N1/42 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის თანახმად, დაწესებულება კარიერული მხარდაჭერის მომსახურებებს და სერვისებს, სთავაზობს არსებულ და პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ბაზრის კვლევის საფუძველზე ქმნის დამსაქმებელთა ელექტრონულ ბაზას და ეხმარება პროფესიულ სტუდენტებს ვაკანსიების მოძიებაში. წლის განმავლობაში ტარდება პროგრამის ხელმძღვანელთა შეხვედრები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან, ეწყობა ვებინარები, ღია კარის დღეები. ადმინისტრაციის სამუშაო აღწერილობების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ **სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის** ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს ზემოაღნიშნულს. პროფორიენტაციის მენეჯერის ანგარიშში ასახულია, რომ მიმდინარე წელს, რეგისტრაციამდე, მომზადდა ახალი ფლაერები, კოლეჯის ბანერი, განახლდა პროფესიული პროგრამების კატალოგი, დაგეგმილია ღია კარის დღეები. ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელებში მუდმივად ტრიალებს სარეკლამო რგოლები რეგისტრაციისა და კოლეჯის შესახებ. ინფორმაცია არა მარტო კოლეჯში განხორციელებული პროგრამებისა და მისი ხანგრძლივობის შესახებ, არამედ კოლეჯის ისტორიის, გარემოს, მასწავლებლების, წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების შესახებ. შეხვედრებისას მომავალ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სტუდენტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციებს, სადაც კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმება. **პროფორიენტაციის მენეჯერმა, ინტერვიუირებისას აღნიშნა,** რომ სწავლის პროცესშიც პერიოდულად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს შესაძლო დასაქმების სფეროების შესახებ, ეხმარება რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენაში და აცნობს დასაქმების ბაზების ინტერნეტ პორტალებს. ამის დასადასტურებლად წარმოადგინა სტუდენტების სივები და სამოტივაციო წერილები, რომლის შედგენაშიც დაეხმარა. ასევე, პოტენციური დამსაქმებლების ბაზები, რომელსაც უზიარებს სტუდენტებს. აღნიშნა, რომ დამსაქმებლები უკავშირდებიან მას, კადრის საჭიროების შემთხვევაში.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები პოტენციური სტუდენტების ინფორმირების მიზნით, ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისა და პრეზენტაციების ამსახველი სურათებისა და პროფორიენტაციის მენეჯერის ანგარიშების სახით. 2021 წლის 21 ივლისს, მიღებასთან დაკავშირებით ვებინარზე კოლეჯში, მოდულური პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად მოწვეულ იქნა ერთ-ერთი პოტენციური დამსაქმებელი, რომელმაც მომავალ სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობების შესახებ. ასევე, აპლიკანტების მხარდაჭერის მიზნით, 2022 წლის მიღების ფარგლებში კოლეჯის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კონსულტაცია პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტებისათვის შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც.

გარდა ამისა, კოლეჯი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, დაფუძნების დღიდან, პროფესიული პროგრამების პარალელურად, ახორციელებს სკოლისგარეშე სახელოვნებო (სამუსიკო) საგანმანათლებლო პროგრამებს (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა; ამ პროგრამებზე სწავლობენ მუსიკალური ნიჭით გამორჩეული ბავშვები შიდა ქართლის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. მათმა ნაწილმა შემდეგ სწავლა გააგრძელა კოლეჯის პროფესიულ პროგრამებზე. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2.პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დასაქმების შესაძლებლობებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან მიმართებაში უზრუნველყოფს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ქმნის დამსაქმებელთა და კურსდამთავრბულთა ელექტრონულ ბაზას და ეხმარება პროფესიულ სტუდენტებს ვაკანსიების მოძიებაში (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 10).

კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზების ფორმირებასა და წარმოებაზე პასუხისმეგებელი პირია სასაწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზები უნდა განახლდეს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ. დამსაქმებელთა ბაზა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: ორგანიზაციის დასახელება და მის შესახებ მოკლე ინფორმაცია, საკონტაქტო პირის მონაცემები/ტელეფონი და თანამდებობა. მენეჯერი და ელექტრონულ ბაზებზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს უკავშირდებიან პირადად, სატელეფონო ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით. (პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია (N1/42, 14.07.2020 წ)). აღნიშნულის დასადასტურებლად, პროფორიენტაციის მენეჯერმა წარმოადგინა პოტენციური დამსაქმებლების ბაზები. გასაუბრებისას, აღნიშნა, რომ სწავლის პროცესში პერიოდულად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს შესაძლო დასაქმების სფეროების შესახებ, ეხმარება რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენაში და აცნობს დასაქმების ბაზების ინტერნეტ პორტალებს. მის მიერ შექმნილ ბაზებსაც უზიარებს სტუდენტებს და ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, ვაკანსიის შესახებ ინფორმაციასაც. ასევე, დაამატა, რომ დამსაქმებლებს თავადაც სთავაზობს წარმატებული სტუდენტების კანდიდატურას. პოტენციური დამსაქმებლებისგან ინფორმაციის მიღება ხდება სატელეფონო კონტაქტის საშუალებით. ვაკანსიებთან ან პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით კოლეჯის სასწავლო პრაქტიკის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი კურსდამთავრებულებს აწვდის ინფორმაციას როგორც ტელეფონის ასევე სოციალური ქსელის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2021 წლის 21 ივლისს, მიღებასთან დაკავშირებით ვებინარზე კოლეჯში, მოდულური პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად მოწვეულ იქნა ერთ-ერთი პოტენციური დამსაქმებელი, რომელმაც მომავალ სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობების შესახებ.
ასევე, პროფორიენტაციის მენეჯერი აწარმოებს კურსდამთავრებულთა ბაზას, რომელიც შედგება შემდეგი მონაცემებისგან: სწავლის დასრულების წელი, სახელი და გვარი, კვალიფიკაცია, დასაქმება, სწავლის გაგრძელების სურვილი.

ექსპერტებმა ზემოაღნიშნულში დასარწმუნებლად შეისწავლეს დამსაქმებლის და კურსდამთავრებულების ბაზები, პროფორიენტაციის სამუშაოს შესრულების ანგარიშები, შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები. ასევე, გაესაუბრნენ კურსდამთავრებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით **დასტურდება, რომ პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.**

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია (N1/42, 14.07.2020 წ). მეთოდოლოგიის თანახმად, კოლეჯში ტარდება სტუდენტებისა და კურსდამთვრებულების კვლევა.

მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი სისტემატურად (6 თვეში ერთხელ) აწარმოებს კვლევას დასაქმებასთან დაკავშირებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. გამოკითხვა ხორციელდება სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით.

- სტუდენტთა გამოკითხვა მიმდინრეობს სატელეფონო ინტერვიუირების, ელექტრონული კითხვარების, დაბეჭდილი კითხვარების საშუალებით. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად დაწესებულება იღებს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე: არიან თუ არა სტუდენტები სწავლის პერიოდშივე დასაქმებულები და რა სფეროში მოღვაწეობენ, რა არის მათი სამომავლო გეგმები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დასაქმდებიან თუ არა აქტიურად კოლეჯში მიღებული განათლებით/გაიღრმავებენ კოლეჯში მიღებულ ცოდნას თუ შეიცვლიან პროფესიას.

- კურსდამთავთავრებულთა კვლევის შედეგად: დასაქმებულები არიან თუ არა, აპირებენ თუ არა საქმიანობის გაგრძელებას არჩეული პროფესიით, დასაქმებულები არიან თუ არა უშუალოდ კოლეჯში მიღებული კვალიფიკაციით.
- დამსაქმებელთა გამოკითხვა გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას შემდეგზე: დაწესებულების საქმიანობის ძირითადი სფერო, თანამშრომელთა რაოდენობა დაწესებულებაში, ინფორმაცია პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის შესახებ, პროფესიულ სასწავლებელთან თანამშრომლობის სახეები, პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ სამუსიკო კოლეჯის კურსდამთავრებულთა პერსპექტივა პროფესიულ საქმიანობაში, კოლეჯთან თანამშრომლობის სამომავლო განწყობა, პროფესიული განათლების პრესტიჟულობა და დამატებითი რეკომენდაციები. დამსაქმებელთა გამოკითხვის ძირითადი მიზანია, გამოვლინდეს ის დამატებითი უნარ-ჩვევები, რომლებსაც შეიძლება ითხოვდეს დამსაქმებელი.

კოლეჯი სისტემატურად (6 თვეში ერთხელ) აწარმოებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმები კვლევებს, აგროვებს სტატისტიკურ მონაცემებს და იკვლევდა მათ კმაყოფილებას დასაქმებისა და კარიერული ზრდის თვალსაზრისით. დაწესებულებამ წარმოადგინა კვლევის შედეგები, წლების მიხედვით. 2021 წლის გამოკითხვის თანახმად ირკვევა, რომ 4 კურსდამთავრებულიდან 3 დასაქმდა სპეციალობით, (საბავშვო ბაღებსა და საჯარო სკოლაში). 2022 წლის კურსდამტავრებულტა გამოკითხვა იგეგმება უახლოეს პერიოდში.

<u>დაწესებულების მიერ ჩატარებულ არცერთ კვლევის ანგარიშში არ ჩანს რა რაოდენობის რესპონდენტებია გამოკითხული სამიზნე ჯგუფიდან. შესაბამისად, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია კვლევის ანგარიშებში დაზუსტებული იყოს შერჩევის ჩარჩო და შერჩევის მოცულობა, რათა ანგარიშში ჩანდეს კვლევის რელევანტურობა და ნათელ სურათს იძლეოდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.</u>

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დაწესებულება პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა კითხვარებში დაფიქსირებული მოსაზრებებიდან გამოდინარე, განიხილავს და ქმნის შემაჯამებელ ანალიზს, რომელიც გულისხმობს უკუკავშირს კოლეჯის (გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროფესიული მასწავლებლები), კოლეჯის პროფესიული პროგრამებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ცალკე გამოყოფს პრობლემებს და გეგმავს დაფიქსირებული პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზების მოძიებას და დანერგვას. საბოლოოდ ეს აისახება სამოქმედო გეგმებში.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი აგროვებს ინფორმაციას სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ, რომელი მათგანი არ არის დასაქმებული და ამის შესაბამისად, უგზავნის მათ ვაკანსიებს, აკავშირებს დამსაქმებლებთან დაეხმარება დასაქმებაში. შესაბამისად **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივლისის #1/22ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41, §3. 07.06.2022წ.) დამტკიცებული სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 ივლისის N1/45 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/46, 08.06.2022წ) დამტკიცებული სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი და მექანიზმები
- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 14 ივლისის N1/42 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ–ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის მეთოდოლოგია

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

4.ადამიანური რესურსები

4.1.პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.2.პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

კოლეჯის მართვის ორგანოებია - კოლეჯის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. კოლეჯის სტრუქტურა ითვალისწინებს პოზიციებს, რომელთა ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია 2022 წლის 7 ივნისის 1/41 ბრძანება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - თანამდებობრივი ინსტრუქციაში, სადაც აღწერილია თითოეულის ფუნქციები- მოვალეობები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრუქტურა არ იძლევა საშუალებას ზემდგომი და დაქვემდებარებული პოზიციების გარჩევის შესაძლებლობას, თუმცა ეს ინფორმაცია მოცემულია წარმოდგენილ სამუშაო აღწერილობებში. დაწესებულებას ჰყავს დირექტორის მოადგილე -ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დამხმარე სპეციალისტი, ვინაიდან ეს ორი პოზიცია თავისი შინაარსით ერთ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია გადაიხედოს სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს სამსახურად. რაც შეეხება სამუშაო აღწერილობებს დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები გულისხმობს კონკრეტულ პროცესებში მონაწილეობას(სასწავლო პროცესი, სტუდენტთა შეფასება, პროფორიენტაციული ღონისძიებები, ბაზების წარმოება, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ბრძანებების პროექტების შემუშავება, მიღების და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესებში მონაწილეობა(კომისიის თავმჯდომარეობა) და სხვა) როგორც შემსრულებელი პირი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სპეციალისტის ფუნქციები, როგორიცაა სტუდენტთა მონაცემთა ბაზის მართვა, ვებ-გვერდის სისტემური განახლება, სტუდენტთა შეფასების უწყისების მართვა, სხვადასხვა კომისიებში მონაწილეობა და სხდომის ოქმების წარმოება, სრულიად აცდენილია მის პოზიციას, რაც იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. ასევე სამუშაო აღწერილობებს ჩანაწერების შესაბამისად დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს ექვემდებარება სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენჯერი, პროფესიული მასწავლებლები, კონცერმაისტერები, ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი. განხორციელდა ინტერვიურება, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობასთან , ასევე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხსმგებელ პირთან, მათ აღნიშნეს რომ იზიარებენ ექსპერტთა მოსაზრებას, აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია დასაქმებული კადრების რაოდენობის სიმცირით და აუცილებლად განახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს. ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი/შემსრულებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანები/აქტივობები, თანხვედრაში არ არის პერსონალის სამუშაო აღწერილობებთან/ფუნქციებთან. მაგ. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლების კმაყოფილების კითხვარის გადახედვა, საჭიროებების განახლება და გამოკითხვების პერიოდული ორგანიზება, წარმოებული გამოკითხვების საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაბამისი ტრენინგების, გადამზადების პროგრამების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა და განხორციელება - პასუხისმგებელია დირექტორი, ხოლო შემსრულებელ პირად დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერია მითითებული, თუმცა თანამშრომელთა გადამზადების გეგმის შემუშავების ფუნქცია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს უწერია სამუშაო აღწერილობაში. კოლეჯში უზრუნველყოფილია პერსონალისთვის ფუნქციებისა და სამუშაო აღწერილობების გაცნობა: არსებობს ე.წ. გაცნობის ჟურნალები, სადაც პერსონალი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის, სამუშაო აღწერილობის, და დანიშვნის ბრძანების გაცნობის ფაქტს.

დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით იკვეთება, რომ პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევას, შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად შესაბამისი ცვლილებების შეტანა „სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში გაწერილი პასუხისმგებელი /შემსრულებელი პირების მიერ შესასრულებელი ამოცანების/აქტივობების განსაზღვრა პერსონალის სამუშაო აღწერილობების შესაბამისად, დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ფუნქციების დაზუსტება და მოვალეობების სწორად განსაზღვრა განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სრულად არ მოიცავს ყველა იმ თემას, რომელიც კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას და მიზნებს უკავშირდება, ვინაიდან სამუშაო აღწერილობებით და გეგმებით რიგი აქტივობების შესრულებაზე პასუხიმგებელი და შესრულების პროცესში ჩართულია დირექტორის მოადგილე -ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი და დამხმარე სპეციალისტი, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, აღნიშნული მიუთითებს, დაწესებულების მიერ ინტერესის კონფლიქტის და პროცესების მართვის მიდგომების გააანალიზების აუცილებლობაზე. ასევე რიგ რეგულაციებში განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციების დამატებითი პასუხისმგებლობები სხვადასხვა აქტივობების შესრულებაზე, თუმცა მათი ფუნქცია-მოველეობები არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ აქტივობების შესრულებას. მაგ. სწავლის დაწყების მომენტიდან, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა ევალება პროფორიენტაციის თანამშრომელთან ერთად სასწავლო პროცესის მენეჯერს, თუმცა სასწავლო პროცესის მენეჯერის ფუნქციები არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულს, მსგავსი მაგალითები მეორდება სხვა შემთხვევებშიც. შინაგანაწესის მიხედვით, თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესის პირობების შესრულებაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, მაშინ როდესაც დაწესებულებას ჰყავს დასაქმებული იურისტი და ადამიანური რესურსების მენეჯერი, რომელთა სამუშაო აღწერილობასთან უფრო ახლოსაა აღნიშნული ვალდებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.**შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად შესაბამისი ცვლილებების შეტანა რეგულაციების, გეგმების კორექტირება ახალი სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით კოლეჯის სიმცირისა და პროფესიული პროგრამების მცირე კონტინგენტის პირობებში დირექტორის მოადგილის და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პოზიცია გაერთიანებულად არის წარმოდგენილი დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სახით. სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები, ასევე სხვა ფუნქციები რაც გულისხმობს კონკრეტულ პროცესებში მონაწილეობას, როგორც შემსრულებელი პირი, რაც იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პასუხისმგებელია როგორც ხარისხის შიდა, ასევე გარე უზრუნველყოფის პროცესების სწორად დაგეგმვასა და წარმართვაზე. დაწესებულებაში მიმდინარე ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის ხარისხის მართვა, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს და დამხმარე სპეციალისტს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება. ის ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. დაწესებულების მენეჯმენტი ხელს უნდა უწყობდეს ურთიერთობათა ამგვარი ჯაჭვის შექმნას ადეკვატური ადამიანური რესურსის, მისი ავტონომიურობის სათანადო ხარისხის და შესაბამისი პროცესების დანერგვის გზით, რაც დაწესებულების სტატუსის წარმატებით შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. განხორციელდა ინტერვიურება, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობასთან , ასევე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხსმგებელ პირთან, მათ აღნიშნეს რომ იზიარებენ ექსპერტთა მოსაზრებას, აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო დასაქმებული კადრების რაოდენობის სიმცირით და აუცილებლად განახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს. <u>დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრების შედეგებით იკვეთება, პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციებში ინტერესთა კონფლიქტია</u> . **შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად დირექტორის მოადგილე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის და დამხმარე სპეციალისტის ჩახსნა იმ პროცესებიდან, რომელთა შეფასებაც განსაზღვრულია მათ ფუნქცია-მოვალეობებში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.
- წესდება, დებულება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- ხარისხის უხრუნველყოფის შიდა სისტემის აღმწერი რეგულაციები, ხარისხის უხრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, ხარისხის უხრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები;
- გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ,,შრომის შინაგანაწესის"(ბოლო ცვლილება შესულია 03.02.2021 წ) და ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის" დოკუმენტები. ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში" გაწერილია: პერსონალის მართვის პროცედურები, მოზიდვა, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, შერჩევა, დანიშვნა, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია, შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი, პროფესიული განვითარება.

შრომის შინაგანაწესით განსაზღვრულია: კოლეჯის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, სტრუქტურა და საქმიანობის საგანი, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყების დრო და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები; წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, აღნიშნული დოკუმენტი ასევე არეგულირებს სხვა საკითხებსაც: თავი I, მუხლი 9 (პუნქტი 5 და 6) პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხებს. შრომის შინაგანაწესის მე-7 თავის რეგულირდება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები (მუხლი 21) და ვალდებულებები (მუხლი 22); კოლეჯის ტერიტორიაზე სტუდენტების/მსმენელების ქცევის წესები (მუხლი 25); დისციპლინური პასუხისმგებლობი საფუძვლები (მუხლები: 26, 27, 28); პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პირადი საქმე (მუხლი 29). ამავე შინაგანაწესით რეგულირდება პროფესიული სტუდენტების მიერ მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და სხვა საშუალებებით სარგებლობა (თავი 9, მუხლები: 33, 34). <u>ვინაიდან შრომის შინაგანაწესი წარმოადგენს დამსაქმებელსა და დასაქმებულ პირს შორის შრომითი-სამართლებრივი საკითხების მომწესრიგებელ დოკუმენტს, შემდგომი განვითარების მიზნით დაწესებულებას ეძლევა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

<u>რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტთან და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები დაარეგულიროს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, სადაც განსაზღვრულია მსგავსი დებულებები.</u>

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. მათში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ეცნობება კოლეჯის პერსონალს და დასტურდება გაცნობის ჟურნალში ხელმოწერით.

განხორციელდა ინტერვიურება დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან, მათ შორის ახალდასაქმებულ პერსონალთან პერსონალი დანიშნულა იქნას დანიშვნის აქტით, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობების შესახებ, რაც ასევე ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.

პროფესიული განათლების შესახებ კანონის მუხლი 281 თანახმად: პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა - პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/კოლეჯში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება. **ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ მუხლი 7-ის შესაბამისად**: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დაწესებულება, რომელშიც სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის/უფლებაჩამორთმეული პირის დასაქმება აკრძალულია, ვალდებულია პირისთვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებამდე მოსთხოვოს მას ნასამართლობის/უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას. დაწესებულებას გაწერილი რეგულაციების მიხედვით, კერძოდ შრომის შინაგანაწესის მუხლი 29. კოლეჯის პერსონალის პირადი საქმე, კოლეჯი უფლებამოსილია პერსონალის სამსახურში მიღებისას მოითხოვოს დოკუმენტაცია: განცხადება სამუშაოზე მიღების შესახებ, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (მოთხოვნის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი). ორი ფოტოსურათი (3/4); ე) ავტობიოგრაფია ან CV;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი. სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ცნობა, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის, მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლობის შესახებ, ასევე, ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ. **<u>აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად უნდა ჰქონდეს დაწესებულებას მოწესრიგებული პერსონალის პირადი საქმე. ექსპერტთა მხრიდან ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ცნობები არ არის განთავსებული ყველა პირად საქმეში, შესაბამისად პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის</u> შესაბამისად. ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად კოლეჯის ყველა მოქმედი თანამშრომლის ინფორმირება სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის წარმოდგენაზე, ასევე თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი ცნობების განთავსება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 10.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პოზიციების შესაბამის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შედგენილია განსხვავებული თანამდებობებისათვის ინდივიდუალურად და რომელთა შესაბამისადაც ხდება პერსონალის შერჩევა და შესაბამის პოზიციაზე დანიშვნა. პერსონალის დანიშვნა ხდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ბრძანების გაცნობა დასტურდება გაცნობის ჟურნალში ხელმოწერით და გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ადმინისტრაციულ **პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ასახული საქართველოს შრომის კოდექსის ყველა არსებითი პირობა(სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი), რაც ეცნობა დაწესებულებას და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ უზრუნველყო აღნიშნულის შესაბამისად ადმინისტრაციულ პერსონალთან კონსოლიდირებული შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და წარმოდგენა. - ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

კოლეჯში დასაქმებული თანამშრომლების კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან. ექსპერტთა შეფასებით კონკრეტული პოზიციისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები რელევანტურია შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად. პირადი საქმეების შესწავლის შედეგებით დასტურდება პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან.
ძირითადი პოზიციების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში(მაგ. დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის და პროფორიენტაციის მენეჯერი და სხვა) ფიქსირდება ერთ-ერთ მოთხოვნად ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა, თუმცა ამ მიმართულებით შესაბამისი ცოდნის და უნარების ფლობის დოკუმენტი განთავსებულია მხოლოდ ერთი პირის პირად საქმეში(ქსელის ადმინისტრატორი) <u>დაწესებულების ხელმძღვანელთან და ადამიანური რესურსების მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კონკრეტულად ამ ჩანაწერში გულისხმობენ საოფისე კომპიუტერული პროგრამების ფლობას, დოკუმენტში არის ტექნიკური ხარვეზი, რომელიც აუცილებლად გადაიხედება და გასწორდება. ექსპერტების მხრიდან გაიცა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია გადახედოს დაწესებულებამ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და დააზუსტოს მსგავსი ჩანაწერები, ვინაიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა მოიცავს ფართო სპექტრს,</u>

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.
კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. კერძოდ, კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი მისი პოზიციისა და ფუნქციების შესაბამისად მონაწილეობას იღებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

კოლეჯში მიმდინარე პროცესებში და დოკუმენტების შემუშავებაში. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები: ოქმები, ხელმოწერილი ფურცლები და ა.შ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების სტრუქტურული სქემა;
- სამუშაო აღწერილობები და „სტრუქტურული ერთეულების დებულება“;
- ადამიანური რესურსების მართვის დებულება ;
- პირადი საქმეების და პერსონალთან დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგები:
- კოლეჯის წესდება;
- კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები ;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასება უნდა განხორციელდეს მის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხის, მოტივაციის და გამოვლენილი უნარ–ჩვევების მიხედვით კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარება, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა გადამზადების პროგრამების და ტრენინგების დაგეგმვა და განხორციელება. კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის წახალისების ღონისძიებები და ასევე წაახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კოლეჯის ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების მენეჯერი შეიმუშავებს და კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს: პერსონალთან ინტერვიუს შედეგების ამსახველ ფორმას; თანამშრომლის გამოსაცდელი ვადის პერიოდში შეფასების ფორმა; თანამშრომლის კვარტალური ანგარიშის წარმოდგენისა და შეფასების ფორმა; თანამშრომელთა გადამზადების გეგმა; თანამშრომლებისათვის ჩატარებული ტრენინგებზე დასწრების უწყისი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2021 წლის პერსონალის შეფასების შედეგები: 1)პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების შედეგები, სადაც გაერთიანებულია სამი სახის კითხვარის ანალიზი: პროფესიული სტუდენტის მიერ მასწავლებლის შეფასება, სასწავლო პროცესის მიერ მასწავლებლის შეფასება და მასწავლებლის თვითშეფასება, მოცემული დოკუმენტის საფუძველზე მასწავლებელთა მიერ გაწეული სამსახური ძირითადად დადებითად არის შეფასებული, რაც შეეხება პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევას აღნიშნულ ნაწილში მასწავლებელტა მიერ დაფიქსირებული იყო ტრენინგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საჭიროება: თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების, სწავლების და შეფასების მიმართულებით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2021-22 წლებში პერსონალის ტრენინგებში ჩართულობის აღრიცხვის სქემა, სადაც ნათლად ჩანს ამ მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული ნაბიჯები. რაც შეეხება ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებების კვლევას, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით და გასაუბრების შედეგებით ჩანს, რომ თანამშრომლები სამუშაო ინსტრუქციებს იცავენ, დროულად და სათანადოდ ახდენენ სამუშაოს შესრულებას, თავს ართმევენ სამუშაოს დროს წარმოშობილ გაუთვალისწინებელ საკითხებს/პრობლემებს, აქვთ ზოგადი მენეჯერული უნარ-ჩვევები, რაც შეეხება საჭიროებებს დაფიქსირდა შემდეგი: სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ტრენინგის საჭიროება „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის“ საკითხებზე, დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მხრიდან ტრენინგი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ფუნქციონირებაზე და ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებზე, დაწესებულებამ წარმოადგინა 2021-22 წლებში ამ მიმართულებით დაგეგმილ ტრენინგებში/ვორქშოპებში აღნიშნული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დგინდება, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია დაწესებულებაში პერსონალის საქმიანობს და საჭიროებების კვლევა, რომლის ანალიზის საფუძველზე განხორციელდება შემდეგი აქტივობების დაგეგმვა. **ექპერტთა შეფასებით დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, დაწესებულების პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება მათი საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს შეხვედრებს, ტრენინგებს და უტარებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ექსპერტთა მხრიდან ასევე შემოწმდა 2022 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია პერსონალის განვითარების ღონისძიებების განხორციელება, თუმცა არ არის დეტალური ინფორმაცია რა სახის ღონისძიებებს გეგმავს დაწესებულება პერსონალის განვითარების კუთხით და არ არის ასახული შესაბამისი ბიუჯეტი, რა სახსრებით გეგმავს კოლეჯი დასახული მიზნის მიღწევას, <u>**შემდგომი განვითარების მიზნით დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია სამოქმედო გეგმაში ჩაშალოს პერსონალის განვითარების კუთხით დაგეგმილი აქტივობები და გაწეროს შესაბამისი ფინანსური რესურსები.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კოლეჯი ზრუნავს და ხელს უწყობს პროფესიული მასწავლებლის კარიერულ წინსვლასა და პროფესიულ განვითარებას კანონმდებლობით დადგენილი წესით; ამ მიზნით პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწყობილ ტრენინგებსა და გადამზადების პროგრამების უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითგანვითარებას და დადებითად აისახება საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე. ჩატარდა ტრენინგები Teams, Zoom და სხვა ელექტრონული პლატფორმებით მუშაობის ასათვისებლად, ასევე ჩატარდა შიდა ძალებით ტრენინგები სწავლების და შეფასების მეთოდებზე.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

კოლეჯი მაქსიმალურად უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლებისათვის კომფორტულ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს. ასევე ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან სრულფასოვან ინტეგრაციას. კოლეჯის ადამიანური რესურსების მენეჯერი ახდენს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას ადამიანური რესურსების პოლიტიკაში გაწერილი პირობების შესაბამისად. აცნობს მას სამუშაო აღწერილობას, ინსტრუქციებს, კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ასევე კოლეჯში დასაქმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი უტარებს პირველად ინსტრუქტაჟებს უსაფრთხოების საკითხებზე, რაც დასტურდება შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალებზე ხელმოწერებით. განხორციელდა ინტერვიურება ახლადდანიშნულ პერსონალთან, რომლებმაც აღნიშნული ფაქტი დაადასტურეს.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება გაწერილია კოლეჯის მიერ ,,შრომის შინაგანაწესსა“ და ,,სსიპ ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების და წახალისების წესში,“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სადაც მოცემულია: პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები და მათი წახალისების მექანიზმი, პრიორიტეტების გათვალისწინებით; კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პერსონალი, დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, ჩატარდა ტრენინგები/ვორქშოპები, ხოლო მიმდინარე წლის ბოლოს ანალიზის დოკუმენტის საფუძველზე ისევ წახალისდება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, დაწესებულების ხელმძღვანელმა წარმოადგინა სამინისტროსთან შეთანხმებული ბიუჯეტი, რომელშიც აღნიშნული კომპონენტისთვის მოთხოვნილია ფინანსური რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის შინაგანაწესი;
- 2022 წლის სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი;
- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი;
- კოლეჯის პერსონალის ინტერვიუირების შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

7.ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

8.პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9.ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. კოლეჯი მდებარეობს გორში, სამეფო ქ.17, ორსართულიან კაპიტალურ შენობაში, შენობის საერთო ფართია 1296.5 კვ. მ.საკადასტრო კოდი N66.45.26.026 აქედან უვადო უზუფრუქტის ჯელშეკრულებით კოლეჯის ინდივიდუალურ საკუთრებაშია 1078,80 კვ,მ, გარდა ამისა, გორის ქალთა კამერულ გუნდთან საერთო სარგებლობაშია გადმოცემული 91,7 კვ.მ. კოლეჯის ფართში განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, ოთახები ადმინისტრაციისთვის, სამუშაო სივრცეები პროფესიული სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - დიდი და მცირე საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, დასასვენებელი / სარეკრეაციო სივრცე და სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. გამოყოფილია სივრცე თავისუფალ დროს შემოქმედებითი ან სპორტული საქმიანობისათვის, სადაც არის მუსიკალური ინსტრუმენტები და ჩოგბურთის მაგიდა.

კოლეჯს აქვს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და ფონოთეკა, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორია სასწავლო მიზნებისთვის (B გარემო) და ოთახები ადმინისტრაციისთვის, სასწავლო აუდიტორიები, დიდი და მცირე სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია კოლეჯის საკუთრებაში არსებული ავეჯით, სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯის პროფილიდან გამომდინარე, თითქმის ყველა სივრცე, სასწავლო აუდიტორიები და საკონცერტო დარბაზი აღჭურვილია მუსიკალური ინსრუმენტებით. კოლეჯის საკუთრებაშია 17 როიალი, 13 პიანინო, არფა, 6 ვიოლინო, 2 ჩელო, კონტრაბასი, ლიტავრები და სასულე ინსტრუმენტების 1 კომპლექტი. 2021 წელს საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ინსტრუმენტების კონკურსში გამარჯვების შედეგად კოლეჯმა შეიძინა ახალთახალი საკონცერტო როიალი ,,Yamaha,"რომლის ღირებულებაა 43 660 ლარი.

კოლეჯის ფართში სივრცეებს მინიჭებული აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ფოიე; - A გარემოები თეორიული სწავლებისთვის - 13 ოთახი; კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემო - 1 ოთახი; დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები/სახელოსნოები - 4 ოთახი; სივრცე ადმინისტრაცისთვის - 6 ოთახი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - 1 ოთახი; ბიბლიოთეკა - 3 ოთახი; სამედიცინო კაბინეტი -1 ოთახი; სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, მათ შორის სპორტულ/შემოქმედებითი საქმიანობისთვის -6 ოთახი; არქივი- 1 ოთახი; სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის - 3 საპირფარეშო(მათგან ერთი-ორი წერტილით)

მატერიალური ქონების ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ავტორიზაციის ვადით.

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

კოლეჯის შრომის შინაგანაწესის 21-ე მუხლის მეორე ბ) პუნქტით გარანტირებულია კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით თანაბარ პირობებში სარგებლობის უფლება,რისთვისაც შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკით,ფონოთეკით, ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობის წესები. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებით დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურს ხელმისაწვდომია მათთვის. რაც შეეხება კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსების, ხელმისაწვდომობას შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის, მეორე სართულზე ასასვლელ მრგვალ კიბეზე ვერ ხერხდება შესაბამისი პანდუსის მოწყობა, დაწესებულებამ სტანდარტთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით მოიძია ფინანსური რესურსები, განახორციელა გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომლის შესაბამისად 7/1/2022 - 12/22/2023 წწ ვადაში დაიგეგმა სპეციფიკური მონაცემების კონსტრუქციის ან ლიფტის დამონტაჟება, რის საფუძველზეც აღნიშნული სტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებას არ ყავს შესაბამისი საჭიროების პროფესიული სტუდენტი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულების წარმომადგენლებთან შეჯერებული პოზიციით ინდიკატორი შეფასებულია ნაწილობრივ შესაბამისობად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კოლეჯს შემუშავებული აქვს მის მფლობელობაში არსებულ სივრცეებში ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. 2020 წელს პანდემიის დაწყებისთანავე ახალი კორონავირუსის პრევენციისათვის გასატარებელი სარეკომენდაციო ღონისძიებების გეგმის შესაბამისად გადაიხედა და შემუშავდა ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის რეკომენდაციები კორონავირუსის პრევენციისათვის“, და სისტემატურად განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა. ყველა სივრცეში დაცულია რეკომენდაციებით გათვალისწინებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, შემუშავებულია ,,შენობის სამუშაო სივრცეების, სამუშაო სივრცისა და გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობის დეზინფექციის ჩატარების გრაფიკი“, ,,სანიტარული კვანძების დალაგებისა და დეზინფექციის გრაფიკი“. შეძენილია სადეზინფექციო საშუალებები, ფარები, პირბადეები, თერმომეტრი და სხვა აქსესუარები. ფაქტობრივი მდგომარეობით დასტურდება, რომ კოლეჯის ყველა ნაწილში, მათ შორის სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

კოლეჯის შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. სისტემა შეუფერხებლად მუშაობს მთელი სეზონის განმავლობაში, რაც დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით ასევე ფაქტობრივი გარემოებით (ვიზუალური დათვალიერებით და სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვით).

5.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები; შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ამ პროცესს ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სპეციალისტი. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლის პირველი და მეორე პუნქტის თანახმად, კოლეჯს შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების მექანიზმები. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ რამდენიმე ეტაპად, უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, ჩატარდა ინსტრუქტაჟები და ტრენინგები პერსონალისა, დამლაგებლების, ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის ელექტროუსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოების, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის, რისკების, შრომის უსაფრთხოების, შრომის ჰიგიენის, ენერგიის წყაროს დაცვის და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

6.დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები - სსიპ –ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის სასწავლო პროცესის ფარგლებში გამოყენებული მასალების და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და უტილიზაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის ბრძანებით N1/56 და უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სასწავლო გარემოს დათვალიერების, მასალების შესწავლისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამათა განმახორციელებლებთან ინტერვიუს და მოდულის ჩანაწერების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯს სასწავლო პროცესის განსახორციელებლად ესაჭიროება მხოლოდ საკანცელარიო საქონელი, შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ მავნე ნარჩენები საქმიანობის ფარგლებში და გაწერილი აქვთ ზემოთ აღნიშნული წესის ფარგლებში ზოგადი უტილიზაციის წესი.

7.ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია მატერიალური რესურსების შეფასების პროცედურა, შემუშავებულია კითხვარების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერსებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. დაწესებულება ახდენს პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს, რომელიც მოიცავს დაწესებულების რესურსების შეფასებას, მათი შედეგების დამუშავებას და აღნიშნული კვლევის საფუძველზე სამოქმედო გეგმაში გაწერილია მატერიალური რესურსების განახლების აქტივობები, რომლისთვისაც გამოყოფილია ფინანსური სახსრები კოლეჯის ბიუჯეტიდან,

8.პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

კოლეჯში არსებობს სამი დამოუკიდებელი სანიტარული კვანძი, გამიჯნული ცალკე ქალებისა და ცალკე მამაკაცებისათვის. ერთი (ინდივიდუალური) ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. ყველა მათგანი უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით და ბუნებრივი ვენტილაციით, ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. ქაღალდის ხელსახოცებით, თხევადი, ანტიბაქტერიული საპნით, სანიტაიზერით ანტიბაქტერიული სითხით. სანიტარული კვანძები რეგულაციების შესაბამისად მუშავდება. მკაცრად კონტროლდება შემუშავებული ,,სანიტარული კვანძების დალაგებისა და დეზინფექციის გრაფიკი“.

9.ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

კოლეჯის ყველა სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკა, ფონოთეკა, სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზები უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. სპეციფიკური დანიშნულების გამო, საკონცერტო დარბაზი ძირითადად ხელოვნური განათებით სარგებლობს, თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საკმარისია სცენაზე და დერეფანში არსებული ფანჯრებიდან შემოსული დღის სინათლეც.

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

კოლეჯში არსებული ყველა სასწავლო და ადმინისტრაციული, ასევე დასვენების სივრცე დამოუკიდებელია, მათი განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას. გამოყოფილია სივრცეები პროფესიული სტუდენტებისათვის და სამუშაო სივრცე პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის.

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კოლეჯის ბიბლიოთეკასა და ფონოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუშაობის გრაფიკი. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალისთვის, ასევე კოლეჯის სტუმართათვის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, 10 200-ზე მეტი ერთეული ნაბეჭდი და CD დისკებზე გადაწერილი წიგნები და სანოტო ლიტერატურა, რომელიც საბიბლიოთეკო წესის შესაბამისადაა დამუშავებული. ბიბლიოთეკას აქვს საბარათე კატალოგი, ასევე exel-ის ფორმატში შედგენილი ელექტრონული კატალოგი. 2022 წლის 15 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება და უკვე ჩაიტვირთა და გამართულია საბიბლიოთეკო პროგრამა Open Bibliois ელექტრონული კატალოგიც. ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზი მოწესრიგებულია, მასში განთავსებულია განათების საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ქსეროქსის, პრინტერის და სკანერის აპარატი. კომპიუტერებში ჩატვირთულია მოდულებში დასახელებული ყველა ელექტრონული სახელმძღვანელო. აქვე ინახება სანოტო საიტების ლინკებიც, სადაც უფასოდ შეიძლება ნებისმიერი სანოტო მასალის მოძიება. კოლეჯში, პროფილიდან გამომდინარე, არის საკმაოდ მდიდარი ფონოთეკის კაბინეტი. მისი ფონდი მოიცავს 1608 ერთეულ ვინილის ფირფიტასა და 325 ერთეულ CD დისკს, თითოეულზე ჩაწერილია სულ ცოტა, 20-25 მუსიკალური ნაწარმოები და სრულად მოიცავს მოდულებში გაწერილ მოსასმენ მასალას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები;
- ○ დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;
- ○ მატერიალური რესურსის შესყიდვის/გადმოცემის დოკუმენტაცია;
- ○ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ;
- ○ ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
- ○ ბიბლიოთეკის კატალოგი;
- ○ სასწავლო რესურსის გაცემის აღრიცხვის ჟურნალები;
- ○ კოლეჯის ვებგვერდი;
- ○ კოლეჯის შინაგანაწესი;
- ○ მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- ○ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
- ○ მასალების და ნედლეულის შესყიდვის მტკიცებულებები;
- ○ პროფესიული სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ○ ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან; პირადი საქმე; სპეციალისტის სერტიფიკატი;
- ○ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები;
- ○ მასალა-ნედლეულის, ინვენტარის მოთოვნისა და მიღება-ჩაბარების აქტები;
- ○ „ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ○ დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- ○ პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

[redacted] ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

კოლეჯს გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიწერილობა (N354/07.02.2020). მასში შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, შესრულების ვადების მითითებით, გაწერილია სავალდებულო ღონისძიებათა ჩამონათვალი. კოლეჯის მიერ აღმოიფხვრა დარღვევები, მოძიებულ იქნა საჭირო ფინანსები, შედგა სათანადო ხარჯთაღრიცხვა, გამოცხადდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული ფირმა L+, რომლის მიერ კოლეჯში დამონტაჟებული იქნა სახანძრო სიგნალიზაცია. ამრიგად, მიწერილობის ყველა პუნქტი შესრულდა, პირველი სართულის ფოიეში მოიხსნა წვადი მოპირკეთება კოლეჯისა და ქალთა კამერული გუნდის თანადაფინანსებით. **კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (19/05/2022 წ, ბრძანება N 146) რომლის თანახმად დადგენილი სტანდარტის მოთხოვნების(დადებითი დასკვნის მოპოვება) დაკმაყოფილება განხორციელდება ექვსი თვის ვადაში. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

გამომდინარე ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულების წარმომადგენლებთან შეჯერებული პოზიციით ინდიკატორი შეფასებულია მეტწილ შესაბამისობად.

კოლეჯს გააჩნია კომპეტენტური ორგანოს- სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ. დასკვნის საფუძველზე შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მას არ გააჩნია ჯდენითი ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები.

2.დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

კოლეჯს შემუშავებული აქვს პირველადი დახმარების მექანიზმები, ჰყავს კვალიფიცირებული ექთანი, რომელსაც აქვს ნებადართული საჭირო ინვენტარი და ვადიანი საშუალებები პირველადი დახმარების აღმოსაჩენად. ახალი კორონავირუსის პრევენციის გეგმის მიხედვით მასვე ევალებოდა კონტროლი თერმოსკრინინგსა და სამუშაო სივრცეების სანიტარულ დამუშავებაზე. რაც დასტურდება სკრინინგისა და დეზინფექციის დოკუმენტაციით. არსებობს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალიც. ექსპერტების მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ/დაინტერესებულ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროფესიულ სტუდენტებთანაც, მათ აღნიშნეს რომ იცნობენ შესაბამის რეგულაციებს და საჭიროებისამებრ აუცილებლად მიმართავენ პასუხისმგებელ პირებს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით კოლეჯში ჩატარებულია არაერთი საინფორმაციო შეხვედრა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

3.დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

კოლეჯში არსებობს კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 22 ივნისის N1/32 ბრძანებით დამტკცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, განაწილებულია წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები და გაწერილია საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა. <u>საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ცვლილებების შეტანის შემდეგ 2022 წლის 3 ივნისს შესათანხმებლად გაეგზავნა „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვების და უსაფრთხოების სერვისების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

<u>სააგენტოს კორესპონდენცია N592189 - 03/06/2022წ, თუმცა ჯერ -ჯერობით აღნიშნული დოკუმენტი არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან, მიმდინარეობს დოკუმენტაციის შინაარსობრივი გამართვის პროცესი. შესაბამისად დაწესებულებაში არ მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი,</u> ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება ,,საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვების და უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაცვას უზრუნველყოფს სამი სადღეღამისო დარაჯი. შენობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა შესაბამისი გამაფრთხილებელი წარწერებით. შესაბამისად დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

●პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა მექანიზმების მოქმედების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი;

●ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N003343819 (18.01.2019) შენობის მდგრადობის შესახებ;

●მიწერილობა - სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;

●საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ;

●პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;

●დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;

●პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების დათვალიერების შედეგები;

●ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან/ ორგანიზაციასთან;

●შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი.

●ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

კოლეჯს აქვს სასწავლო პროცესისა და ადმინიტრაციული საქმიანობის შეუფერხებლად წარმოებისთვის შესაბამისი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ამჟამად არსებული კომპიუტერები და მათი რაოდენობა ადეკვატურია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის, დაწესებულებაში არსებული კომპიუტერები პროგრამულად უზრუნველყოფილია ისე, რომ ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს. შენობაში თანაბრად ხელმისაწვდომია სილქნეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ოპტიკურ-ბოჭკოვანი როგორც კაბელიანი, ისე უკაბელო ინტერნეტი. (ინტერნეტ პროვაიდერთან (სს „სილქნეტი“) გაფორმებული ხელშეკრულება) .

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

კოლეჯს ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირი - ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც სისტემატურად თვალყურს ადევენებს კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკის გამართულობას. თითოეულ კომპიუტერს აქვს IT ვირუსისგან დამცავი სისტემა: „Virus Threat Protection System“ და “Avast Antivirus System”, რომელიც ახლდება პერიოდულად.(გადავამოწმოთ) კოლეჯი ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, რაც უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კოლეჯის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სწავლისა და მუშაობისთვის შესაბამისი პირობები. ამისათვის კოლეჯში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, ხედება მისი მართვა და სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება; კოლეჯის ოფიციალური ვებ–გვერდის მუდმივი განახლება, მასალების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ვებ–გვერდზე განთავსება; კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი; კომპიუტერული ლაბორატორიის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პრეზენტაციებისათვის, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება; ელექტრონული მასალების მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის და ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის დახმარების გაწევა; კომპიუტერული და სხვა ტექნიკის საგარანტიო უზრუნველყოფის ექსპერტიზა და მისი განხორციელების მონიტორინგი; ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფა და საჭიროების შეზღუდვა. კოლეჯის საქმიანობის ამსახველი აქტივობების ვიდეო და ფოტო მასალის განთავსება, ხდება ერთ-ერთი კომპიუტერის D დისკზე,ხოლო ხანდაზმული დოკუმენტაცია პერიოდულად არქივდება და ინახება CD დისკებზე. დასრულებული მოდულების ვიდეო და ფოტო მტკიცებულებები, ასევე ელექტრონული ფაილები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან და ადამიანური რესურსებლის მენეჯერთან 1 ტერაბაიტის მოცულობის მყარ დისკებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. დირექტორის 2020 წლის 6 ივლისის N01/38 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის პოლიტიკა“, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ სტუდენტის/პედაგოგის შესახებ პირადი ინფორმაცია გაიცემა მხოლოდ პირადად სტუდენტზე/პედაგოგზე, ან მათი ნდობით აღჭურვილ პირზე (ნოტარიულად დამოწმებული). სტუდენტის/პედაგოგის პირადი ინფორმაცია მათი თანხმობით (განცხადება/ხელშეკრულება) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო, ან საავტორიზაციო მიზნებისთვის. ,,პოლიტიკის“ მიზანია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე ნორმატიული სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების დებულებების რეალიზაცია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში. განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები და მეთოდები, სუბიექტები, დამუშავების მიზნები, მონაცემთა ჩამონათვალი, შენახვის ვადები, დამუშავების პირობები და კონფიდენციალობა და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულის დაცვაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი.

4.პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

კოლეჯი აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. მისი ძირითადი საქმიანობის სფეროა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კოლეჯის სტუდენტებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შეუქმნას სწავლისა და მუშაობისთვის შესაბამისი პირობები. შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტუქტურის ბაზა, სადაც მითითებულია თითოეული კომპიუტერის მონაცემები და სისტემები. ქსელის პარამეტრები. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მისი საქმიანობის მექანიზმების შესაბამისად, აკონტროლებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას და მიმდინარე პროცესებს და ადგენს მათი გაუმჯობესების აუცილებლობას, კვლევისას აანალიზებს სტუდენტთა და მასწავლებელთა კვლევის შედეგებს რესურსების შეფასებასთან მიმართებაში. ხორციელდება ინვენტარის აღწერა წელიწადში ერთხელ, და ამის მიხედვით ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

რესურსების შეფასება და შეკეთება-განახლების დაგეგმვა. დაწესებულებამ წარმოადგინა კონკრეტული რესურსების შეკეთების დამადასტურებელი დოკუმენტაციაც(მაგ. როიალების შეკეთება) და ა.შ.

5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის, კოლეჯში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესი, ბრძანება N1/14 07.11.2011წ (ცვლილება შესულია: ბრძანება N1/16. 28.06.2019); გასაუბრებით დასტურდება, რომ ადმინისტრაციის, სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა ასევე ყველასთვის თანაბრად უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტზე თავისუფალი წვდომა.

6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კოლეჯმა EMIS-ის დახმარებით შეიმუშავა ერთიანი საკომუნიკაციო სისტემა როგორც პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე პროფესიული მასწავლებლებისათვის და პერსონალისათვის, რაც გულისხმობს საკომუნიკაციო ელ-მისამართების ერთიან ჯგუფს. …@college.ge საგრძნობლად გაიზარდა კოლეჯის ვებგვერდის სივრცე, რათა შესაძლებელი იყოს მეტი მოცულობის ინფორმაციის განთავსება. შეიქმნა დომენის ელექტრონული ფოსტის ერთიანი საკომუნიკაციო ქსელი, EMIS-ის ახალი რეესტრის ბაზაზე ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს უკვე შექმნილი აქვს საფოსტო ყუთი ონლაინ-კომუნიკაციისათვის.კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ახალ თანამშრომელს ან პროფესიულ სტუდენტს სწავლის პროცესის დასაწყისში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

აწვდის ინფორმაციას ერთიანი საკომუნიკაციო ბაზის არსებობის შესახებ და დახმარებას უწევს ელექტრონული ფოსტის შექმნაში, და ახდენს საკომუნიკაციო ბაზების შევსებასა და განახლებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი გააგრძელებს კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემებისა და ონლაინ პლატფორმებით (ZOOM; Teams) სარგებლობის შესახებ ტრენინგებს /საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც მოქმედი, ისე ახალი სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, რის თაობაზეც ინფორმაცია მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. თუმცა ახალგაზრდები ყველაზე აქტიურად ინფორმაციას ფეისბუკ მესინჯერის ჯგუფებშიც აზიარებენ. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის მიზანშეწონილობის განხილვისას შესწავლილ იქნა სტუდენტების და პერსონალის ინტერნეტით და კომპიუტერული მოწყობილობებით უზრუნველყოფის მდგომარეობა. შეიქმნა Facebook Messenger-ში ჯგუფები, რომლითაც ასევე ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება. ყოველივე ზემოაღნიშნულით დასტურდება, რომ კოლეჯი რეალურად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება დომეინის შესყიდვის შესახებ;
- ხელშეკრულება ვებ ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კომპიუტერების, ლეპტოპების, ვიდეო კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოწმებისა და შეფასების შედეგები
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების ერთიანი წესები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის ბრძანებით N1/44 ,,საქმისწარმოებისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ,,eflow'' სისტემით სარგებლობის წესი“.. საქმისწარმოების წესში დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა პროცედურა, მათ შორის: დოკუმენტბრუნვის ორგანიზება, კორესპონდენციის მიღება-რეგისტრაცია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვიანობა, ინდექსისა და რიგითი ნომრის მინიჭება, ბეჭდის გამოყენების წესი და დოკუმენტების არქივისთვის გადაცემის რეგულაციები. კოლეჯი 2019 წლიდან ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის ,,eflow'' სისტემაში. ამ წესის მოქმედება ვრცელდება კოლეჯში მომზადებულ ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებზე, სამსახურებრივ ბარათებზე, გასულ და შემოსულ კორესპონდენციაზე და ამ წესით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებზე; კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ელექტრონული მიმოცვლის სისტემის ,,eflow'' -ის მეშვეობით; ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება კოლეჯის საბუღალტრო და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე. ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები შეიძლება მომზადდეს და ხელმოწერილ იქნას მატერიალური დოკუმენტის ფორმატში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მომზადების შემდეგ აუცილებლად იტვირთება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში; კოლეჯის საქმისმწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი დოკუმენტებს აწარმოებს როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად, მატერიალურად ჟურნალებში ხორციელდება ასევე სხვადასხვა დოკუმენტების აღრიცხვა. აღნიშნული ჟურნალები დამუშავებულია წესის შესაბამისად, გადანომრილია ფურცლები, ზონარგაყრილი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმულია. საქმისწარმოების კომპონენტში რიგი დოკუმენტების შესწავლისას, ექსპერტებმა გამოავლინეს შემდეგი: 2022 წელს გამოცემული აქტები - ოქმები დანომრილია და რეგისტრირებულია ერთიდაიგივე ნომრებით(მაგ. 2022 წლის თებერვლაში გამოცემული ოქმი, ივნისში და სექტემბერში არის N1), რაც დამტკიცებული საქმისწარმოების წესების დარღვევას წარმოადგენს, დოკუმენტების აღრიცხვა და ნუმერაცია იწყება ყოველი კალენდარული წლის დაწყებისას თავიდან და გრძელდება მიმდინარე წლის ბოლომდე. ასევე შიდა დოკუმენტბრუნვის (განცხადება, მოხსენებითი/სამსახურებრივი ბარათი და სხვა) აღრიცხვა ხორციელდება არასწორად, მაგ . დაწესებულებაში შემოსული განცხადება ან სამსახურებრივი ბარათი ჯერ მატერიალურად აღირიცხება, ენიჭება ნომერი და შემდეგ იტვირთება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში, ამ შემთხვევაში დოკუმენტებს მატერიალურს და ელექტრონულს აქვს სხვადასხვა რეგისტრაციის ნომერი, რაც რეგისტრაციის ნომრით კონკრეტული დოკუმენტის მოძიებას შეუძლებელს ხდის, ვინაიდან დაწესებულებაში შემოდული ნებისმიერი დოკუმენტის აღრიცხვა საქმისწარმოების წესის მიხედვით უნდა განხორციელდეს ,,eflow'' -ის მეშვეობით, დაწესებულებას შეუძლია მატერიალური დოკუმენტების აღრიცხვაც აწარმოოს პარალელურად, თუმცა ჯერ ის უნდა აიტვირთოს აღნიშნულ სისტემაში, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს მის აღრიცხვას, ნომრის მინიჭებას, შემდეგ მოხდეს მისი დაბეჭდვა და მატერიალური დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალში გატარება, რათა მოვიდეს ერთმანეთთან თანხვედრაში. <u>აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად ეცნობა დაწესებულების წარმომადგენლებს. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პსდ-ში საქმისწარმოება არ მიმდინარეობს კანონმდებლობასთან შესაბამისად.</u>

ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში".

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეჯის საქმისწარმოების წესის საქართველოს შესაბამისობაში მოყვანა, ოქმების და შემოსული კორესპონდენციის სწორი აღრიცხვის წარმოების უზრუნველყოფა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 15.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

2.პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, Google-ს სერვისები გამოყენებულია საქმიანობის სხვადასხვა პროცესებისთვის და ასევე კვლევების ჩასატარებლად, სასწავლო პროცესში, მეცადინეობებისა და კონსულტირებისთვის გამოყენებულია Zoom , teams პლატფორმა. მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კოლეჯი ჩართულია და მართვაში იყენებს Eflow-ს სისტემას, შესაბამისად, ზემოთაღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება კოლეჯში მომზადებულ ინდივიდუალურ - ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებზე, სამსახურებრივ ბარათებზე, გასულ და შემოსულ კორესპონდენციაზე და ამ წესით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებზე;

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

კოლეჯი ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ექსპერტების მიერ გადამოწმდა რეესტრის მონაცემები, რეესტრის წარმოებისას ზუსტადაა დაცული რეესტრის წარმოების ვადები და შესატანი ინფორმაციის ტიპი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

4.პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს „საქმისწარმოების წესით“ დადგენილი შემოსული დოკუმენტების შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებაზე პასუხისმგებელ პირს. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების მაგალითები და დასტურდება, რომ კოლეჯი დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, როგორც ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow სისტემით, ისე კოლეჯის ელექტრონული ფოსტით: gori.college@yahoo.com და დომეინის ელ.ფოსტით: info@gorimuscollege.edu.ge .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების ერთიანი წესი;
- ელექტრონულ სიტემის (eFlow) შემოწმების შედეგები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები და შემოწმების შედეგები.
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები:

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას
1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2.დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3.პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4.საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; ვებ-გვერდი www.gorimuscollege.edu.ge იძლევა მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას; ვებ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, დებულებები, შიდა ნორმატიული აქტები, ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მათ შორის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სამოქმედო გეგმების ანგარიშები, პროგრამების კატალოგი, შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ელექტრონული ბიბლიოთეკა („Open Biblio"), ფონოტეკის კატალოგი და სხვ. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია, ასევე, სასარგებლო ბმულები.

კოლეჯს ასევე აქვს საკუთარი სოციალური ქსელის გვერდი www.facebook.com/gorimuscollege.edu.ge , რომელიც ძირითადად ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. კოლეჯის სოციალური ქსელის გვერდი დაკავშირებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდთან, თუმცა მეტი აქტიურობით გამოირჩევა როგორც საკომუნიკაციო, ასევე საინფორმაციო ფუნქციით, რაც გულისხმობს მომხმარებლისათვის მარტივ წვდომას კოლეჯის სიახლეებსა და აქტივობებზე. ფეისბუკგვერდი საკმაოდ პოპულარულია სტუდენტებსა და კოლეჯის გულშემატკივრებს შორის, რადგან იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებას. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა გასულ თვეებში კორონავირუსის პრევენციის მიზნით შეჩერებული სასწავლო პროცესის პირობებში. სტუდენტებს ყველანაირი ინფორმაცია მიეწოდებოდათ მესენჯერში შექმნილი ჯგუფების საშუალებით. კოლეჯის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდებზე საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და საჭიროებისამებრ შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია. ინფორმაციის მარტივად მოძიების მიზნით, ვებ გვერდს აქვს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (დამტკიცებულია სსიპ– ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N1/39.08.07.2020) რომელიც ითვალისწინებს ეფექტურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან და კოლეჯის ცნობადობის გაზრდას. დოკუმენტში მოცემულია, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებლი პირია კოლეჯის ადამიანური რესურსების მენეჯერი; კოლეჯის ქსელის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს ვებ–გვერდის და სოციალური ქსელის გამართულ მუშაობას; ხოლო პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სიახლეებისა და ღონისძიებების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის კოლეჯის ვებ–გვერდსა და სოციალურ ქსელში დროულად განათავსებს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ამიტომ, მისიაში არ არის გაცხადებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი, შესაბამისად, კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდის www.gorimuscollege.edu.ge ენა არის ქართული. <u>მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება არ ახორციელებს უცხოენოვან პროგრამებს, სტრატეგიაში და კოლეჯის წარმომადგენლებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ კოლეჯი ხშირად ღებულობს მონაწილეობას საერთაშორისო ღონისძიებებსა და ფესტივალებში. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ დაწესებულებამ საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს ის ძირითადი ინფორმაცია (მაგ: მისია, ხედვა, ღირებულებები) რაც, მისი საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებისთვის გასაზიარებლად მიაჩნია საჭიროდ.</u>

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების შესახებ კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე www.gorimuscollege.edu.ge იტვირთება დაუყოვნებლივ და ინახება კოლეჯის ღონისძიებების არქივში ფოტო და ვიდეო დოკუმენტაციის სახით. მისი მოძიება აგრეთვე შესაძლებელია როგორც კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ფოტო გალერეის, ასევე კოლეჯის სოციალური ქსელის www.facebook.com/gorimuscollege.edu.ge საშუალებით. ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებულია როგორც პროგრამების შესახებ, ასევე კოლეჯში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების შესახებ ინფორმაცია, ანონსები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საზოგადოებასთან ურთიერთობის წესში მითითებულია ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვის სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.**

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგისთვის ვებ-გვერდზე გამოყოფილია ცალკე რუბრიკა. კატალოგი მოიცავს დაწესებულების შესახებ საკონტაქტო და ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციას, კოლეჯის დაარსებისა და განვითარების ისტორიას. მოცემულია, ასევე დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტოები. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კატალოგი საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, დასაქმების შესაძლებლობის, კრედიტების, სწავლის შედეგების და სხვა ყველა აუცილებელი ინფორმაციის შესახებ რაც წინასწარ უნდა იცოდეს აპლიკანტმა და/ან მისმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.**

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

დაწესებულების ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი კატალოგების არქივი, თუმცა ამჟამად განთავსებულია 2022 წლის კატალოგი. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა 2019-2020-2021 წლის კატალოგები რითაც **დასტურდება, რომ კატალოგი ახლდება ყოველწლიურად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულებაში, საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, მათ შორის: კოლეჯის ვებ გვერდი, სოციალური ქსელის გვერდი, ელ ფოსტა, ტელეფონი, სარეკლამო რგოლები, კოლეჯი მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენებსა და ღონისძიებებში. აღნიშნული არხების შედეგად მიღებულ უკუკავშურს კი დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მისიისა და შემუშავებული სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის პროექტები დამტკიცებამდე განხილული იქნა დაინტერესებულ მხარეებთან ონლაინ შეხვედრების ფორმატში. მასში მონაწილეობდნენ: კოლეჯის დამფუძნებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, დამსაქმებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები. ჩატარებული შეხვედრების შემდეგ კოლეჯის სტრატეგიულ დოკუმენტებში გათვალისწინებულ იქნა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. ამის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა შეხვედრების ამსახველი ფოტოები და ოქმები. ასევე, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისას დაწესებულებამ განახორციელა სტუდენტთა ინტერნეტსა და სმარტ-მოწყობილობებზე წვდომის შესწავლა. სწორედ მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე განახორციელა მოდულებისა და სასწავლო გეგმების ადაპტირება. **ზემოაღნიშნულის საფუძველზე დასტურდება, რომ საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესი;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- პსდ-ს მოქმედი ვებგვერდი ქართულ ენაზე www.gorimuscollege.edu.ge ;
- ვებგვერდზე მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- ვებ-გვერდსა და სოც.ქსელის გვერდზე საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცის,სიახლეების და ასევე პროგრამების კატალოგის დათვალიერების შედეგი;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პსდ-ს მისიის, საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების -შემოწმების შედეგი;
- ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის, დაწესებულების წლიური ანგარიშების, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ.
- განთავსებული მონაცემების შემოწმების შედეგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით).

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

კოლეჯის წლიური საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენისას ხდება როგორც სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების, ისე მიმდინარე საოპერაციო ხარჯების გათვალისწინება. ახალი ბიუჯეტის დაგეგმვისას ვითვალისწინებთ წინა წლების ბიუჯეტის ფაქტობრივ შესრულებას, გაწეულ საოპერაციო ხარჯებს და ახალი ბიუჯეტის დაგეგმვა ამის ანალიზის საფუძველზე ხდება. 2019 წლიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსურ დაქვემდებარებაში კოლეჯის გადმოსვლის შემდეგ, კოლეჯის ბიუჯეტი გახდა დინამიური, მზარდი.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტიდან და დაფინანსების დინამიკის გათვალისწინებით დასტურდება, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

კოლეჯის 2022 წლის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური რესურსით შრომის ანაზღაურების, კომუნალური, საოფისე, არაფინანსური და სხვა ოპერაციებისათვის. გამოყოფილია ასევე თანხა ავტორიზაციის მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსურ ანგარიშს, რომელიც სათანადო წესით წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსურ და შიდა აუდიტის სამსახურებს, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. კოლეჯის წლიური ანგარიშს ყოველწლიურად ამოწმებს დამოუკიდებელი აუდიტორიც.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კოლეჯი ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელიც გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე. წლიური ანგარიშის და სამომავლო გეგმების ობიექტურად შეფასების შედეგად ხდება მომდევნო წლის ფინანსური მდგრადობის დაგეგმვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
- დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	**პიანისტ-აკომპანიატორი**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში/ Higher Vocational Qualification in Music Art
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0215
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი, სამეფო ქ. #17
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	174

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კოლეჯს ,,შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის, რეგიონში კოლეჯის კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც მიღებულია პროგრამის დამატების გადაწყვეტილება. სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი, წარსულში სამუსიკო სასწავლებელი - 1963 წლიდან ამზადებდა სამუსიკო პროფილის სპეციალისტებს: მასწავლებლებს, დირიჟორებს, ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მსახიობებს და პროფესიული საფეხურის კვალიფიციურ კადრებით უზრუნველყოფდა შიდა ქართლის კულტურულ - საგანმანათლებლო სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. დღემდე შიდა ქართლის ყველა მნიშვნელოვანი კულტუტულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამუსიკო სკოლების, საბავშვო ბაღების თანამშრომელთა 90%-ი ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულია. სამწუხაროდ, 2000-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად მოხდა სამუსიკო განათლების სისტემაში წყვეტა. გაუქმდა სამუსიკო სასაწავლებლები და შემცირდა ინტერესი სამუსიკო განათლებისადმი. 2011 წლიდან კოლეჯში დაიწყო V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემსრულებელ - ილუსტრატორის, გუნდის ლოტბარი/რეგენტისა და ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის განხორციელება. აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობდნენ შიდა ქართლის ბავშვთა საგუნდო კოლექტივებისა და თვითმოქმედი ანსამბლების ხელმძღვანელებად, კონცერტმაისტერებად, გორის ქალთა კამერულ გუნდში მომღერლებად, ნაწილმა სწავლა გააგრძელეს თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში: კოლეჯის კარიერისა და პროფორიენტაციის სამსახურმა ჩაატარა კვლევა დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა შორის. კვლევის მიზანი იყო რესპოდენტთა დამოკიდებულების გარკვევა პროფესიული განათლების და, კერძოდ ახალი, ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამების პროექტების მიმართ. ჩატარებულმა გამოკითხვებმა ცხადყო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

რომ პროფესიული განათლების პრესტიჟი სულ უფრო და უფრო იზრდება. დამსაქმებელთა უმეტესობა გაეცნო დასანერგი პროფესიული პროგრამების პროექტებს და ძირითადად მოიწონა ისინი. გამოკითხულთა თითქმის 50% მზადაა პრაქტიკის გასავლელად აიყვანოს და შემდეგ დაასაქმოს კიდევაც კურსდამთავრებულები. ნაწილი ფიქრობს რომ, ჯერჯერობით გაუჭირდება დაასაქმო ისინი ვაკანსიის უქონლობის გამო. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ კურსდამთავრებულებისადმი ინტერესი გაიზრდება, რადგან კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალიან მაღალია პენსიონერ თანამშრომელთა პროცენტი და იგრძნობა ახალგაზრდა სპეციალისტების მწვავე დეფიციტი. ეს განსაკუთრებით საგრძნობია რეგიონებში. 2015 წლიდან კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული მასწავლებლები უშუალოდ მონაწილეობდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის შემუშავების პროცესში -დარგის განვითარების მიზნით. კურსდამთავრებულის საქმიანობა და კარიერული შესაძლებლობები თანდათან მოთხოვნადი ხდება, რასაც ასევე განაპირობებს საკანონმდებლო მოთხოვნებიც, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27.10 დამტკიცებული N478 დადგენილებით დამტკიცებული აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტის თანახმად მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგისთვის 2024 წლიდან სავალდებულო იქნება პროფესიული სამუსიკო განათლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,პიანისტ-აკომპანიატორი“ შესაბამისობაშია მისიასთან. ასევე, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პიანისტ-აკომპანიატორის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას.

დაწესებულებამ მტკიცებულებების სახით ასევე წარმოადგინა, შიდა ქართლის რეგიონში სხვადასხვა დარგობრივ ორგანიზაციებთან კორესპონდენციის დოკუმენტები, რომლებიც უკუკავშირის სახით ადასტურებენ პიანისტ-აკომპანიატორის პროგრამის განხორციელების საჭიროებას და რელევანტურობას. ასევე, ადასტურებენ, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უზრუნველჰყოფენ კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რაც, დღესდღეობით, შრომის ბაზარზე დეფიციტურია. ეს ორგანიზაციებია: ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და ტურიზმის განვითარების სააგენტოში შემავალი სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების განყოფილება; ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალი კასპის სახელოვნებო სკოლა; ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება; ქალაქ გორის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრის „იბერია“ საბავშვო ვოკალური სტუდია.

ექსპერტების მხრიდან დაისვა კითხვები წლების მიხედვით პროგრამაზე ჩარიცხრული და კურსდამთავრებული, მათ შორის დასაქმებული სტუდენტების სტატისტიკის მონაცემებზე, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ინფორმაცია

პროგრამა	**მიღება-დამთავრება**	**ჩაირიცხა**	**დაამთავრა**	**მიმდინარე**	**სტატუსი შეუჩერდა**	**სტატუსი შეუწყდა**	**დასაქმდა**
პიანისტ - აკომპანიატორი	**2019**	**0**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**
პიანისტ - აკომპანიატორი	2020	7	მიმდინარეობს სწავლება	2	2	3 (აქედან 1 შიდა მობილობა მუს.რეპიტორის პროგრამაზე)	-
პიანისტ - აკომპანიატორი	2021	0	-	-	-	-	-
პიანისტ - აკომპანიატორი	2022	5	-	5	-	-	-

გორის სამუსიკო კოლეჯი არის ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამუსიკო პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულებამ შეაფასა თავისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის გაბხორციელების გაგრძელების შესახებ. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ვინაიდან წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის, არ არის აღნიშნული როდის დაიწერა ეს დოკუმენტი და როდის ჩატარდა დოკუმენტში მითითებული კვლევები. ასევე არ არის ინტეგრირებული ზემოთხსენებულ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის შედეგები. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა **<u>განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ასევე, რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ზემოაღნიშნული კოლეჯს დაეხმარება როგორც არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას, ისე სამომვალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას.</u>**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „პიანისტ აკომპანიატორის“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია სამუსიკო ხელოვნების ჩარჩო დოკუმენტის (02128-პ) მოთხოვნასთან. დაშვების პროცედურა გულისხმობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირების გავლას და კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შემოქმედებით ტურს. შემოქმედებითი ტურის ჩატარების პირობები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ და გამოქვეყნებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნული წინაპირობები უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „პიანისტ-აკომპანიატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2022 წლის მიღების დოკუმენტები, შემოქმედებითი ტურის შედეგები, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 28 ივნისის N1/17 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია". მეთოდოლოგიის მიხედვით კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, ადამიანური რესურსები, კოლეჯის მატერიალური რესურსის რაოდენობა მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და სხვ. მეთოდოლოგიში წარმოდგენილია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი და პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით პიანისტ აკომპანიატორის პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 48 პროფესიული სტუდენტი. მეთოდოლოგია ითვალისწინებს, ასევე, პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. პროგრამას ახორციელებს პროფესიული განათლების 17 მასწავლებელი. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის 2.5. პუნქტის თანახმად სავალდებულო პროფესიული მოდულები, რომლებიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ სწავლებას, ხორციელდება პროფესიული განათლების რამდენიმე მასწავლებლის მიერ. მოდულის „საწარმოო პრაქტიკა"-ის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთან. შესაბამისად **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალია ორი არჩევითი მოდული, რომელთა კრედიტების რაოდენობა არ აღემატება პროგრამის საერთო მოცულობის 20%. ესენია: „კამერული ანსამბლი“ და „საფორტეპიანო დუეტი“, ჯამში 12 კრედიტის მოცულობით. ორივე არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და იძლევა კურსდამთავრებულთათვის დამატებით საშუალებას, გაიფართოვონ დასაქმების შესაძლებლობები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა ,,პიანისტ-აკომპანიატორი“ დამტკიცებულია სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 ივლისის ბრძანებით N1/22 (ბოლო ცვლილება: 13.10.2022 N1/83). კოლეჯის დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №114/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და კოლეჯის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესის“ მესამე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება ,,პიანისტ-აკომპანიატორი“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პიანისტ აკომპანიატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი - „სამუსიკო ხელოვნება“ - სარეგისტრაციო ნომრით - 02128-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (144 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 174 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის ხანგრძლივობაა 28 თვე ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 33 თვე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 19 პროფესიული მოდული, ჯამური 121 კრედიტის მოცულობით, 2 არჩევითი მოდული, ჯამური 12 კრედიტის მოცულობით და 2 ქართული ენის მოდული, ჯამური 30 კრედიტის მოცულობით). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

●საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა);
●საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
●საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
●პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;
●დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
●საგანმანათლებლო პროგრამა ,,პიანისტ-აკომპანიატორის“ დამტკიცების აქტი 29.07.2019, N1/22 (ბოლო ცვლილება: 13.10.2022 N1/83).
●დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - ქალაქი გორი, სამეფოს ქუჩა N17. პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო A, B და C სასწავლო გარემო. A და B სასწავლო გარემო განკუთვნილია 8-8 პროფესიული სტუდენტისთვის. C გარემო განკუთვნილია როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური სწავლებისთვის. სასწავლო გარემოში არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ A გარემოში განთავსებულია მაგიდა და სკამი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. B გარემოში განთავსებულია მატერიალური რესურსები 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი.

C გარემოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ვიზუალური დათვალიერებისას დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 14 როიალი, 7 პიანინო, ვიოლინო, ჩელო, კონტრაბასი, არფა და 3 სასულე ინსტრუმენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და ასევე მიღება-ჩაბარების აქტები. მოდულის - საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთან. მემორანდუმის თანახმად, სააგენტო უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას, ამავდროულად, ჩართული იქნება სწავლების პროცესში, თითოეულ ობიექტს შეუძლია მიიღოს 8 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს სულ 48, აქედან ყოველწლიურად განხორციელდება 16 პროფესიული სტუდენტის ანუ 2 ჯგუფის, თითოეულში 8 პროფესიული სტუდენტის მიღება და სწავლება.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,პიანისტ-აკომპანიატორი“ დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. პროგრამას ახორციელებს პროფესიული განათლების 17 მასწავლებელი. მათ შორის 4 ზოგადი მოდულების და 13 დარგობრივი. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლებიც პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასაც ახორციელებენ, დადგინდა, რომ განმახორციელებლების რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. განმახორციელებელ პირად ასევე წარმოდგენილია ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია, შინაგანაწესში გაწერილია, რომ მათ პარალელურად უფლება აქვთ კვირაში 6 საათი გამოიყენონ სასწავლო მიზნებისთვის, დატვირთვის სქემების გადამოწმებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირობა დაცულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლება/უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „პიანისტ აკომპანიატორი“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით , გარდა <u>გაცნობითი პრაქტიკა სამუსიკო ხელოვნებაში მოდულისა, რომლის განმახორციელებელ პირად განსაზღვრულია იურისტის კვალიფიკაციის მქონე პირი, მაშინ როცა დაწესებულების დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულია შესაბამისი უმაღლესი განათლება, ან პროფესიით სამწლიანი მუშაობის გამოცდილება. განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, ასევე იურისტთან, მათ აღნიშნეს რომ ვინაიდან მოდულის ერთ-ერთი სწავლის შედეგი მოიცავს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების საკითხებს ამიტომ გადაწყვიტეს მოდული განეხორციელებინა აღნიშნული კვალიფიკაციის პირს, ექსპერტების მხრიდან მოდულის ჩანაწერების გათვალისწინებით დაწესებულებას სრულად განემარტათ აღნიშნული მოდულის არსი, მნიშვნელობა და დარგობრივი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებლად უნდა ქონდეს ამ მოდულის განმახორციელებელ პირს და ვინაიდან კოლეჯში ასეთი კომპეტენტური დარგის წარმომადგენლები არის 13 პირი, უნდა განხორციელდეს ცვლილებები, ვინაიდან იურისტის კვალიფიკაციის მქონე პირს არ აქვს აღნიშნული პროგრამისთვის განსაზღვრული მოდულის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთათვის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

<u>შესაბამისი დარგობრივი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.</u> ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N3 დანართში ცვლილებების შეტანა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

კოლეჯის სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს მოდულურ პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების ტრენინგები და დაგეგმილია მომავალშიც მათი განვითარების ღონისძიებები, რაც გაწერილია კოლეჯის სტარტეგიული და სამოქმედო გეგმითაც. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღნიშნეს რომ ნაწილი ჩართული იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, მათ უმრავლესობას აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება.ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და განმახორციელებლებთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმატში.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 ივლისს N1/54 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესში“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით. მას ევალება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა. აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, განხორციელდა გასაუბრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან რომელმაც ისაუბრა მის როლზე პროგრამის დაგეგმის და განვითარების ეტაპებზე, პროგრამის ხელმძღვანელი ეხმარება დაწესებულებას კომპეტენტური კადრების მოძიება/დაკონტრაქტების ეტაპზე, მონაწილეობს შერჩევებში და კვალიფიკაციის მინიჭების ეტაპებზე, როგორც დარგის წარმომადგენელი, განვითარების კუთხით დარგობრივ შეხვედრებს მართავს მასწავლებლებთან, სწავლების და შეფასების მეთოდებზე, იყოს ჩართულია შეფასების ინსტუმენტების მონიტორინგის პროცესში; დაწესებულებაში პროფესიული უნარებიის სააგენტოს მიერ შემოსულია კორესპონდენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კუთხით რეკომენდაციების წარმოდგენის შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელის და დაწესებულების განმარტებით დაგეგმილია უახლოეს დღეებში დარგობრივი შეხვედრები და პროგრამის ხარვეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარედგინება შესაბამის სამსახურს. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკარის კომპიუტერში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველჰყოფს სტუდენტებისათვის მიწოდებას. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio". დაწესებულებას ასევე მფლობელობაში აქვს საკმაოდ მდიდარი ფონოტეკა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადაამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პიანისტ აკომპანიატორი" მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, გატანა-დაბრუნების აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონულად და მატერიალურად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის" მე-13 მუხლში განსაზღვრულია სსსმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტი. დაწესებულების მხრიდან დასტურდება მზაობა, რომ რეალური საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასწავლო რესურსის შინაარსობლივი და ვიზუალური ადაპტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ექსპერტების შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს პიანისტ აკომპანიატორის პროფესიუალი საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 115 784 ლარი, ხარჯების ნაწილში - 115784 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება – 62 505 ლარი; კონცერტმაისტერთა შრომის ანაზღაურება – 18 450 ლარი და სხვა ხარჯებს - 34 829 ლარი. რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში შემუშავებულია სსიპ –ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი და მექანიზმები“ პროგრამის შემუშავებისას ,,შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ჩატარებული იქნა რეგიონის მასშტაბით კვლევა, რამდენიმე დამსაქმებელმა წერილობითაც დაგვიდასტურა პროგრამის დადებითი შეფასება და გამოთქვა სურვილი, შემდგომში კურსდამთავრებულთა დასაქმებისა. პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ ჩატარდა პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციათა გამოკითხვა და შედეგების ანალიზის მიხედვით დაიგეგმა შესაბამისი პროგრამის განმავითარებელი ღონისძიებები. შედგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის განკუთვნილი კითხვარები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზება და მათზე ასევე შესაბამისი რეაგირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

მოხდენა. დოკუმენტი მოიცავს ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა ასპექტს, რომელიც პირდაპირ ან ირიბ კავშირშია პროგრამის შეფასების მექანიზმთან. პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ განახორციელა სასწავლო გეგმების ცვლილებები, რესურსების დამატება, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, რამაც დადებითი როლი ითამაშა პროგრამის განვითარების კუთხით. დაწესებულება აცნობიერებს თავის როლს სამუსიკო ხელოვნების პროფესიული პროგრამების განვითარებაში და ამ ეტაპზე დაგეგმილია პროგრამის შინაარსობრივი რევიზია, შესაბამისი ხარვეზების/უზუსტობების დადგენა, რაც წარედგინება შესაბამის სამსახურს.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მექანიზმები, ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა და დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოები. ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დაწყებული პროგრამის განხორციელების ინიცირებით და დასრულებული პროგრამის დამტკიცების ინიცირებით, ასევე პროგრამის განხორციელების ნაწილი, პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ინიცირებაც, ყველ პროცესში ჩართული მხარე არის დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, თუ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განახორციელა პროგრამის დაგეგმვა/შემუშავება, ცვლილებების ინიცირება და შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირიც თვითონ არის, ამასთანავე მეოთხე სტანდარტის, 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა - ქვესტანდარტის, მესამე ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება. ის ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. რადგან ინტერესთა კონფლიქტია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ვერ შეასრულებს ობიექტურად შეფასებას, ამასთან შეფასების მექანიზმი და რეალური გარემოებები არის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და არ ითვალისწინებს უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა. **ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად დირექტორის მოადგილე-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, როგორც მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების დაზუსტება და გამიჯვნა, ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვა, შესაბამისი ცვლილებების შეტანა ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესში" გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხორციელების წესები და პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირობები, მონაწილე პირები, გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები, ინფორმაცია ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ, პროგრამის დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების მექანიზმები. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით, რომლის ფარგლებში ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვის შედეგების ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესების გეგმის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. დოკუმენტში აღწერილი პროცედურების შესაბამისად განხორციელებულია პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა);
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);
- საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების ინიცირების წერილი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „პიანისტ-აკომპანიატორი“ სასწავლო გეგმის ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; განსაზღვრულია განმეორებითი შეფასებისათვის დრო, სასწავლო პროცესი დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო გეგმა შედგენილია როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა მიმდინარე სასწავლო პროცესი, სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

კოლეჯის სასწავლო პროცესის ორგანიზება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს და, შესაბამისად, ყურადღებას ამახვილებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის მენეჯერი დროულად აწვდის სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტებს, და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ყოველთვის ითვალისწინებს სტუდენტთა მოსაზრებებს მათთვის მოსახერხებელი სამეცადინო ცხრილის შესადგენად. ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის მოქნილად წარმართვისათვის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" შევიდა ცვლილებები პროცესის მექანიზმის დასახვეწად და მოიძებნა პროფესიული განთლების მიღების ადეკვატური გზები: სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვა და სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენება; დამატებითი მეცადინეობების დაგეგმვა; პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებიც ადასტურებს, რომ კოლეჯი სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „პიანისტ-აკომპანიატორი" ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, მუდმივ განვითარებას და თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოყენებას. გეგმავს მასწავლებლების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში. სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურებით, ასევე სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. შესაბამისად გამოიყენებული სწავლების შესაბამისი სწავლის მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ინდივიდუალურ საჭიროებად უნდა განვიხილოთ ყველა შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინმსწრებფორმალურ პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულებას ქონდა ერთი შიდა მობილობის შემთხვევა, ექსპერტთა მიერ შემოწმდა სრული პროცესი და დადგინდა რომ **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, შეიქმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მიმდინარეობს პროფესიული სტუდენტის სწავლება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პიანისტ აკომპანიატორის“ პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს იურიდიული დოკუმენტი მემორანდუმის (26,06,2019 წელი) სახით ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებთან. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ კოლეჯის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად შეარჩია ქალაქ გორის #3 (გორგასლის ქუჩა #6) და #10 (სოხუმის ქუჩა #5) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა (სამეფოს ქუჩა #22). პრაქტიკის უშუალოდ განხორციელებისას კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლას შორის გაფორმდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

შესაბამისი ხელშეკრულება. განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ისაუბრეს კვალიფიციური კადრების მნიშვნელობაზე და საჭიროებებზე, ისინი ხელს უწყობენ დარგის განვითარებაზე და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის მაღად დონეზე განხორციელებას. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება უშუალოდ სწავლის დაწყების წინ, რომელშიც აღნიშნულია, რომ სააგენტო უზრუნველყოფს იმ დროისათვის პროგრამაზე არსებული ორივე სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლება საკმაოდ უსაფრთხო პროცესია. საწარმოო ტრავმების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება შესაბამისი სტანდარტით დადგენლი უსაფრთხოების ნორმებით, რომელიც გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კოლეჯში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.შესაბამისად **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- ინდ. სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში);
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე/ შრომის ინსპექციის ვიზიტის შედეგები და სხვა);
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, რომელშიც გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია პროცედურები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა განმეორებით გამოცდაზე გასვლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

შესაძლებლობისა და რაოდენობის შესახებ. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის #1/42 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41 §5 07.06..2022წ.) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელც მოიცავს ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე, შეფასების პროცესზე, აპელაციის პროცედურებზე, ვერიფიკაციის მექანიზმებზე. **აღნიშნული წესი არ არეგულირებს შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობის ვადების შესახებ საკითხებს, კოლეჯს ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია აღნიშნული კომპონენტი გაწეროს მარეგულირებელ წესში. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში.“ დოკუმენტის მიხედვით კოლეჯი ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციის, პროცესის ვერიფიკაციისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის მართვის მენეჯერთან შემუშავებული ფორმების სახით. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი, განხორციელდა ინტერვიურება ჯგუფის წევრებთან, რომლებმაც აღნიშნეს რომ მიიღეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი განსახორციელებელი აქტივობების შესახებ და უახლოეს მომავალში დაიწყება ვერიფიკაციის პროცესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის-ინფორმაციის, შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების შენახვას. ,,სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განხორციელების წესის მე-4 თავის მე-12 მუხლში გაწერილია მექანიზმები, რომელიც განმარტავს: შესრულების მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან სამი წლის ვადით. რის შემდეგაც ხდება მისი განკარგვა დადგენილი წესით.სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ. **დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ხორციელდება მათი აღრიცხვა. ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში" შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესის დამატება, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად პერიოდულად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად იღებს უკუკავშირს, რომელიც აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს კონკრეტული სტუდენტის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცედურა ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გასათვალისწინებელია მოდულური საგნმანათლებლო პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმნათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების და საგანმანათლებლო რესურსების შეცვლა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდების, უწყისები და მტკიცებულებები;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში)*.	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	მუსიკის რეპეტიტორი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სამუსიკო ხელოვნებაში/ Higher Vocational Qualification in Music Art
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0215
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.გორი, სამეფო ქ. #17
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	108
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	138

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

XI. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კოლეჯს ,,შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის" შესაბამისად, ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის, რეგიონში კოლეჯის კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც მიღებულია პროგრამის დამატების გადაწყვეტილება. სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი, წარსულში სამუსიკო სასწავლებელი - 1963 წლიდან ამზადებდა სამუსიკო პროფილის სპეციალისტებს: მასწავლებლებს, დირიჟორებს, ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მსახიობებს და პროფესიული საფეხურის კვალიფიციურ კადრებით უზრუნველყოფდა შიდა ქართლის კულტურულ - საგანმანათლებლო სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. დღემდე შიდა ქართლის ყველა მნიშვნელოვანი კულტუტულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამუსიკო სკოლების, საბავშვო ბაღების თანამშრომელთა 90%-ი ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულია. სამწუხაროდ, 2000-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმის შედეგად მოხდა სამუსიკო განათლების სისტემაში წყვეტა. გაუქმდა სამუსიკო სასაწავლებლები და შემცირდა ინტერესი სამუსიკო განათლებისადმი. 2011 წლიდან კოლეჯში დაიწყო V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემსრულებელ - ილუსტრატორის, გუნდის ლოტბარი/რეგენტისა და ვოკალური ანსამბლისა და გუნდის მომღერლის განხორციელება. აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობდნენ შიდა ქართლის ბავშვთა საგუნდო კოლექტივებისა და თვითმოქმედი ანსამბლების ხელმძღვანელებად, გორის ქალთა კამერულ გუნდში მომღერლებად, ნაწილმა სწავლა გააგრძელეს თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში: კოლეჯის კარიერისა და პროფორიენტაციის სამსახურმა ჩაატარა კვლევა დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა შორის. კვლევის მიზანი იყო რესპოდენტთა დამოკიდებულების გარკვევა პროფესიული განათლების და, კერძოდ ახალი, ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამების პროექტების მიმართ. ჩატარებულმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ პროფესიული განათლების პრესტიჟი სულ უფრო და უფრო იზრდება. დამსაქმებელთა უმეტესობა გაეცნო დასანერგი პროფესიული პროგრამების პროექტებს და ძირითადად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

მოიწონა ისინი. გამოკითხულთა თითქმის 50% მზადაა პრაქტიკის გასავლელად აიყვანოს და შემდეგ დაასაქმოს კიდევაც კურსდამთავრებულები. ნაწილი ფიქრობს რომ, ჯერჯერობით გაუჭირდება დაასაქმო ისინი ვაკანსიის უქონლობის გამო. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ კურსდამთავრებულებისადმი ინტერესი გაიზრდება, რადგან კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალიან მაღალია პენსიონერ თანამშრომელთა პროცენტი და იგრძნობა ახალგაზრდა სპეციალისტების მწვავე დეფიციტი. ეს განსაკუთრებით საგრძნობია რეგიონებში. 2015 წლიდან კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული მასწავლებლები უშუალოდ მონაწილეობდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის შემუშავების პროცესში -დარგის განვითარების მიზნით. კურსდამთავრებულის საქმიანობა და კარიერული შესაძლებლობები თანდათან მოთხოვნადი ხდება, რასაც ასევე განაპირობებს საკანონმდებლო მოთხოვნებიც, კერძოდ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27.10 დამტკიცებული N478 დადგენილებით დამტკიცებული აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტის თანახმად მუსიკის აღმზრდელ-პედაგოგისთვის 2024 წლიდან სავალდებულო იქნება პროფესიული სამუსიკო განათლება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მუსიკოს რეპეტიიტორი“ შესაბამისობაშია მისიასთან. ასევე, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პიანისტ-აკომპანიატორის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას.

დაწესებულებამ მტკიცებულებების სახით ასევე წარმოადგინა, შიდა ქართლის რეგიონში სხვადასხვა დარგობრივ ორგანიზაციებთან კორესპონდენციის დოკუმენტები, რომლებიც უკუკავშირის სახით ადასტურებენ პიანისტ-აკომპანიატორის პროგრამის განხორციელების საჭიროებას და რელევანტურობას. ასევე, ადასტურებენ, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები უზრუნველჰყოფენ კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რაც, დღესდღეობით, შრომის ბაზარზე დეფიციტურია. ეს ორგანიზაციებია: ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და ტურიზმის განვითარების სააგენტოში შემავალი სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების განყოფილება; ა(ა)იპ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალი კასპის სახელოვნებო სკოლა; ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება; ქალაქ გორის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრის „იბერია“ საბავშვო ვოკალური სტუდია.

ექსპერტების მხრიდან დაისვა კითხვები წლების მიხედვით პროგრამაზე ჩარიცხრული და კურსდამთავრებული, მათ შორის დასაქმებული სტუდენტების სტატისტიკის მონაცემებზე, დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ინფორმაცია

პროგრამა	**მიღება-დამთავრება**	**ჩაირიცხა**	**დაამთავრა**	**მიმდინარე**	**სტატუსი შეუჩერდა**	**სტატუსი შეუწყდა**	**დასაქმდა**
მუსიკის რეპეტიტორი	2019 - 2022	6	4	-	-	2	3
მუსიკის რეპეტიტორი	2020-2022	7	4		2	1	2
მუსიკის რეპეტიტორი	2021	6	-	5	1	-	-
მუსიკის რეპეტიტორი	2022	7	-	-	-	-	-

გორის სამუსიკო კოლეჯი არის ერთადერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამუსიკო პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დაწესებულებამ შეაფასა თავისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის გაბხორციელების გაგრძელების შესახებ. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ვინაიდან წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის, არ არის აღნიშნული როდის დაიწერა ეს დოკუმენტი და როდის ჩატარდა დოკუმენტში მითითებული კვლევები. ასევე არ არის ინტეგრირებული ზემოთხსენებულ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის შედეგები. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა <u>**განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი,**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

<u>გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ასევე, რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ზემოაღნიშნული კოლეჯს დაეხმარება როგორც არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას, ისე სამომვალოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას.</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მუსიკის რეპეტიტორი“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია სამუსიკო ხელოვნების ჩარჩო დოკუმენტის (02128-პ) მოთხოვნასთან. დაშვების პროცედურა გულისხმობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირების გავლას და კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შემოქმედებით ტურს. შემოქმედებითი ტურის ჩატარების პირობები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ და გამოქვეყნებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნული წინაპირობები უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „მუსიკის რეპეტიტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2022 წლის მიღების დოკუმენტები, შემოქმედებითი ტურის შედეგები, პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 28 ივნისის N1/17 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია". მეთოდოლოგიის მიხედვით კოლეჯის კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, ადამიანური რესურსები, კოლეჯის მატერიალური რესურსის რაოდენობა მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის გათვალისწინებით, A, B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა და სხვ. მეთოდოლოგიში წარმოდგენილია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი და პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების წესი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მუსიკის რეპეტიტორის პროგრამაზე კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 32 პროფესიული სტუდენტი. მეთოდოლოგია ითვალისწინებს, ასევე, პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. პროგრამას ახორციელებს პროფესიული განათლების 16 მასწავლებელი. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის 2.5. პუნქტის თანახმად სავალდებულო პროფესიული მოდულები, რომლებიც ითვალისწინებს ინდივიდუალურ სწავლებას, ხორციელდება პროფესიული განათლების რამდენიმე მასწავლებლის მიერ. მოდულის - საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებთან. მემორანდუმების თანახმად, სააგენტები უზრუნველჰყოფს მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას. შესაბამისად **საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალია სამი არჩევითი მოდული, რომელთა კრედიტების რაოდენობა არ აღემატება პროგრამის საერთო მოცულობის 20%. ესენია: „მუსიკალური კომპიუტერული პროგრამები (Finale)“, „პოპულარული მუსიკის მოსმენა და აღქმა“ და „სიმფონიური ორკესტრის საკრავები“ ჯამში 9 კრედიტის მოცულობით. არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და იძლევა კურსდამთავრებულთათვის დამატებით საშუალებას, გაიფართოვონ დასაქმების შესაძლებლობები.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“ დამტკიცებულია სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 29 ივლისის ბრძანებით N1/22. (ბოლო ცვლილება: 13.10.2022 N1/82). კოლეჯის დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

№114/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის წესდების მე-5 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესის“ მესამე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „მუსიკის რეპეტიტორი“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მუსიკის რეპეტიტორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი - „სამუსიკო ხელოვნება“ - სარეგისტრაციო ნომრით - 02128-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (108 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 138 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის ხანგრძლივობაა 20 თვე ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 25 თვე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით, 16 პროფესიული მოდული, ჯამური 88 კრედიტის მოცულობით, 3 არჩევითი მოდული, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 2 ქართული ენის მოდული, ჯამური 30 კრედიტის მოცულობით). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

პროფესიული სტუდენტებისთვის, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა);
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს;
- დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო;
- საგანმანათლებლო პროგრამა ,,მუსიკის რეპეტიტორის“ დამტკიცების აქტი 29.07.2019, N1/22 (ბოლო ცვლილება: 13.10.2022 N1/82).
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - ქალაქი გორი, სამეფოს ქუჩა N17. პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო A, B და C სასწავლო გარემო. A და B სასწავლო გარემო განკუთვნილია 8-8 პროფესიული სტუდენტისთვის. C გარემო განკუთვნილია როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური სწავლებისთვის. სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ A გარემოში განთავსებულია მაგიდა და სკამი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. B გარემოში განთავსებულია მატერიალური რესურსები 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი.

C გარემოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ვიზუალური დათვალიერებისას დასტურდება, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 14 როიალი, 7 პიანინო, ვიოლინო, ჩელო, კონტრაბასი, არფა და 3 სასულე ინსტრუმენტი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და ასევე მიღება-ჩაბარების აქტები. მოდულის - საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოსთან. მემორანდუმის თანახმად, სააგენტო უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას, ამავდროულად, ჩართული იქნება სწავლების პროცესში, თითოეულ ობიექტს შეუძლია მიიღოს 8 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც შეადგენს სულ 32, აქედან ყოველწლიურად განხორციელდება 16 პროფესიული სტუდენტის ანუ 2 ჯგუფის, თითოეულში 8 პროფესიული სტუდენტის მიღება და სწავლება.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,პიანისტ-აკომპანიატორი“ დანართის სახით წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია. პროგრამას ახორციელებს პროფესიული განათლების 16 მასწავლებელი. მათ შორის 4 ზოგადი მოდულების და 12 დარგობრივი. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლებიც პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასაც ახორციელებენ, დადგინდა, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. განმახორციელებელ პირად ასევე წარმოდგენილია ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია, შინაგანაწესში გაწერილია, რომ მათ პარალელურად უფლება აქვთ კვირაში 6 საათი გამოიყენონ სასწავლო მიზნებისთვის, დატვირთვის სქემების გადამოწმებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირობა დაცულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული განათლება/უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „პიანისტ აკომპანიატორი“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით , გარდა <u>გაცნობითი პრაქტიკა სამუსიკო ხელოვნებაში მოდულისა, რომლის განმახორციელებელ პირად განსაზღვრულია იურისტის კვალიფიკაციის მქონე პირი, მაშინ როცა დაწესებულების დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულია შესაბამისი უმაღლესი განათლება, ან პროფესიით სამწლიანი მუშაობის გამოცდილება. განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან, ასევე იურისტთან, მათ აღნიშნეს რომ ვინაიდან მოდულის ერთ-ერთი სწავლის შედეგი მოიცავს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების საკითხებს, ამიტომ გადაწყვიტეს მოდული განეხორციელებინა აღნიშნული კვალიფიკაციის პირს,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ექსპერტების მხრიდან მოდულის ჩანაწერების გათვალისწინებით დაწესებულებას სრულად განემარტათ აღნიშნული მოდულის არსი, მნიშვნელობა და დარგობრივი უნარჩვევები, რომლებიც აუცილებლად უნდა ქონდეს ამ მოდულის განმახორციელებელ პირს და ვინაიდან კოლეჯში ასეთი კომპეტენტური დარგის წარმომადგენლები არის 12 პირი, უნდა განხორციელდეს ცვლილებები, ვინაიდან იურისტის კვალიფიკაციის მქონე პირს არ აქვს აღნიშნული პროგრამისთვის განსაზღვრული მოდულის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი დარგობრივი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად ხელშეკრულების გაფორმება შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის N3 დანართში ცვლილებების შეტანა დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

კოლეჯის სტარტეგიული განვითარების გეგმაში და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირების განვითარების მიზნით მიზნობრივი ტრეინინგების ჩატარების აქტივობა. პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა გაიარეს მოდულურ პროგრამებზე სწავლებისა და შეფასების ტრენინგები და დაგეგმილია მომავალშიც მათი განვითარების ღონისძიებები, რაც გაწერილია კოლეჯის სტარტეგიული და სამოქმედო გეგმითაც. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღნიშნეს რომ ნაწილი ჩართული იყვნენ მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, მათ უმრავლესობას აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება.ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან და განმახორციელებლებთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ საჭიროების გათვალისწინებით, სწავლების მეთოდების და შეფასების საკითხებში პროფესიულ მასწავლებლებს უტარდებათ როგორც გარე, ასევე შიდა კონსულტაციები შესაბამისი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფორმატში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 ივლისს N1/54 ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესში" განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით. მას ევალება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა, ვალიდაციის პროცესში მონაწილეობა. აღნიშნულის შესაბამისად, პროგრამას ხელმძღვანელობს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი და დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი, რაც დასტურდება მისი პირადი საქმის მიხედვით კვალიფიკაციითა და სამუშაო გამოცდილებით, განხორციელდა გასაუბრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან რომელმაც ისაუბრა მის როლზე პროგრამის დაგეგმის და განვითარების ეტაპებზე, პროგრამის ხელმძღვანელი ეხმარება დაწესებულებას კომპეტენტური კადრების მოძიება/დაკონტრაქტების ეტაპზე, მონაწილეობს შერჩევებში და კვალიფიკაციის მინიჭების ეტაპებზე, როგორც დარგის წარმომადგენელი, განვითარების კუთხით დარგობრივ შეხვედრებს მართავს მასწავლებლებთან, სწავლების და შეფასების მეთოდებზე, იყოს ჩართულია შეფასების ინსტუმენტების მონიტორინგის პროცესში; დაწესებულებაში პროფესიული უნარებიის სააგენტოს მიერ შემოსულია კორესპონდენცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების კუთხით რეკომენდაციების წარმოდგენის შესახებ, პროგრამის ხელმძღვანელის და დაწესებულების განმარტებით დაგეგმილია უახლოეს დღეებში დარგობრივი შეხვედრები და პროგრამის ხარვეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარედგინება შესაბამის სამსახურს. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკარის კომპიუტერში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველჰყოფს სტუდენტებისათვის მიწოდებას. დაწესებუელბის ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა „Open Biblio". დაწესებულებას ასევე მფლობელობაში აქვს საკმაოდ მდიდარი ფონოტეკა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადაამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პიანისტ აკომპანიატორი" მოდულებში მითითებული რესურსი. გადამოწმების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ისე მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, გატანა-დაბრუნების აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონულად და მატერიალურად.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის" მე-13 მუხლში განსაზღვრულია სსსმ პირთა საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობას იღებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტი. დაწესებულების მხრიდან დასტურდება მზაობა, რომ რეალური საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასწავლო რესურსის შინაარსობლივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

და ვიზუალური ადაპტირება. **ექსპერტების შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს მუსიკის რეპეტიტორის პროფესიუალი საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული აქვს ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 133 416 ლარი, ხარჯების ნაწილში - 133416 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება – 36 030 ლარი; კონცერტმაისტერთა შრომის ანაზღაურება – 11 400 ლარი და სხვა ხარჯებს - 85 986 ლარი. რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსების შეფასების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

კოლეჯში შემუშავებულია სსიპ –ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯმენტი და მექანიზმები“ პროგრამის შემუშავებისას ,,შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად ჩატარებული იქნა რეგიონის მასშტაბით კვლევა, რამდენიმე დამსაქმებელმა წერილობითაც დაგვიდასტურა პროგრამის დადებითი შეფასება და გამოთქვა სურვილი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

შემდგომში კურსდამთავრებულთა დასაქმებისა. პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ ჩატარდა პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციათა გამოკითხვა და შედეგების ანალიზის მიხედვით დაიგეგმა შესაბამისი პროგრამის განმავითარებელი ღონისძიებები. შედგენილია პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის განკუთვნილი კითხვარები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზება და მათზე ასევე შესაბამისი რეაგირების მოხდენა. დოკუმენტი მოიცავს ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებულ ყველა ასპექტს, რომელიც პირდაპირ ან ირიბ კავშირშია პროგრამის შეფასების მექანიზმთან. პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე დაწესებულებამ განახორციელა სასწავლო გეგმების ცვლილებები, რესურსების დამატება, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება, რამაც დადებითი როლი ითამაშა პროგრამის განვითარების კუთხით. დაწესებულება აცნობიერებს თავის როლს სამუსიკო ხელოვნების პროფესიული პროგრამების განვითარებაში და ამ ეტაპზე დაგეგმილია პროგრამის შინაარსობრივი რევიზია, შესაბამისი ხარვეზების/უზუსტობების დადგენა, რაც წარედგინება შესაბამის სამსახურს.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მექანიზმები, ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა და დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოები. ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დაწყებული პროგრამის განხორციელების ინიცირებით და დასრულებული პროგრამის დამტკიცების ინიცირებით, ასევე პროგრამის განხორციელების ნაწილი, პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების ინიცირებაც, ყველ პროცესში ჩართული მხარე არის დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, თუ ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა განახორციელა პროგრამის დაგეგმვა/შემუშავება, ცვლილებების ინიცირება და შემსრულებელი/პასუხისმგებელი პირიც თვითონ არის, ამასთანავე მეოთხე სტანდარტის, 4.1. პერსონალის და პროცესების მართვა - ქვესტანდარტის, მესამე ინდიკატორის მოთხოვნების გათვალისწინებით - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმების და შეფასებისას ლოგიკურია, ინტერესთა კონფლიქტი ექმნება. ის ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციასთან. რადგან ინტერესთა კონფლიქტია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ვერ შეასრულებს ობიექტურად შეფასებას, ამასთან შეფასების მექანიზმი და რეალური გარემოებები არის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და არ ითვალისწინებს უკუკავშირს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

დაინტერესებული მხარეებისგან საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია დაწესებულებამ უზრუნველყოს ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა. **ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად დირექტორის მოადგილე-ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, როგორც მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების დაზუსტება და გამიჯვნა, ინტერესთან კონფლიქტის გამორიცხვა, შესაბამისი ცვლილებების შეტანა ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქციაში დაგეგმილია 11.11.2022 დან - 25.11.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯის,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესში“ გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში ცვლილებების განხორციელების წესები და პროცედურები. დოკუმენტში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირობები, მონაწილე პირები, გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები, ინფორმაცია ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ, პროგრამის დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების მექანიზმები. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით, რომლის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარის (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვის შედეგების ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესების გეგმის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. დოკუმენტში აღწერილი პროცედურების შესაბამისად განხორციელებულია პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა);
- პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (მათ შორის საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარებით/კომპეტენციებით პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებელი, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი; პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი);
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- საგანმანათლებლო სტანდარტში ცვლილების ინიცირების წერილი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „მუსიკოს რეპეტიტორი“ სასწავლო გეგმის ხორციელდება თანმიმდევრულად, პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობებისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვის დაცვით; განსაზღვრულია განმეორებითი შეფასებისათვის დრო, სასწავლო პროცესი დაწესებულებაში ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო გეგმა შედგენილია როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის. ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა მიმდინარე სასწავლო პროცესი, სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით, კალენდარული გეგმებით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

კოლეჯის სასწავლო პროცესის ორგანიზება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინტერესებს და, შესაბამისად, ყურადღებას ამახვილებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის მენეჯერი დროულად აწვდის სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტებს, და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ყოველთვის ითვალისწინებს სტუდენტთა მოსაზრებებს მათთვის მოსახერხებელი სამეცადინო ცხრილის შესადგენად. ახალი კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის მოქნილად წარმართვისათვის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში" შევიდა ცვლილებები პროცესის მექანიზმის დასახვეწად და მოიძებნა პროფესიული განთლების მიღების ადეკვატური გზები: სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვა და სხვადასხვა ონლაინ პლატფორმების გამოყენება; დამატებითი მეცადინეობების დაგეგმვა; პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებიც ადასტურებს, რომ კოლეჯი სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „მუსიკოს-რეპეტიტორი"ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, მუდმივ განვითარებას და თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოყენებას. გეგმავს მასწავლებლების გადამზადებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში. სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურებით, ასევე სასწავლო პროცესზე დასწრების ანალიზით დგინდება, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. შესაბამისად გამოიყენებული სწავლების შესაბამისი სწავლის მეთოდები და ტექნოლოგიები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ინდივიდუალურ საჭიროებად უნდა განვიხილოთ ყველა შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, წინმსწრებფორმალურ პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულებას ქონდა ერთი შიდამობილობის შემთხვევა, ექსპერტთა მიერ შემოწმდა სრული პროცესი და დადგინდა რომ **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, შეიქმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მიმდინარეობს პროფესიული სტუდენტის სწავლება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს იურიდიული დოკუმენტი მემორანდუმის (26.06.2019 წელი) სახით ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებთან. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ კოლეჯის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად შეარჩია ქალაქ გორის #3 (გორგასლის ქუჩა #6) და #10 (სოხუმის ქუჩა #5) სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა (სამეფოს ქუჩა #22). პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

უშუალოდ განხორციელებისას კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტს-გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლას შორის გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან, რომლებმაც ისაუბრეს კვალიფიციური კადრების მნიშვნელობაზე და საჭიროებებზე, ისინი ხელს უწყობენ დარგის განვითარებაზე და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული კომპონენტის მაღად დონეზე განხორციელებას. ასევე, დაწესებულებამ წარმოადგინა სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება უშუალოდ სწავლის დაწყების წინ, რომელშიც აღნიშნულია, რომ სააგენტო უზრუნველყოფს იმ დროისათვის პროგრამაზე არსებული ორივე სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლება საკმაოდ უსაფრთხო პროცესია. საწარმოო ტრავმების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. კოლეჯში სასწავლო პროცესი ხორციელდება შესაბამისი სტანდარტით დადგენლი უსაფრთხოების ნორმებით, რომელიც გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კოლეჯში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.შესაბამისად **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებები /მემორანდუმები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
- ინდ. სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი და ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე/ შრომის ინსპექციის ვიზიტის შედეგები და სხვა);
- განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, რომელშიც გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია პროცედურები და ვადები პროფესიულ სტუდენტთა განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობისა და რაოდენობის შესახებ. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 6 ივლისის #1/42 ბრძანებით (ბოლო ცვლილება: N1/41 §5 07.06..2022წ.) დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომელც მოიცავს ინფორმაციას შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე, შეფასების პროცესზე, აპელაციის პროცედურებზე, ვერიფიკაციის მექანიზმებზე. <u>აღნიშნული წესი არ არეგულირებს შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობის ვადების შესახებ საკითხებს, კოლეჯს ეძლევა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაცია აღნიშნული კომპონენტი გაწეროს მარეგულირებელ წესში.</u>

ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლებთან, შედეგების შეჯამებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც გაწერილია ,,სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში.“ დოკუმენტის მიხედვით კოლეჯი ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციის, პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

ვერიფიკაციისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის გზით. კოლეჯის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის მართვის მენეჯერთან შემუშავებული ფორმების სახით. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი, განხორციელდა ინტერვიურება ჯგუფის წევრებთან, რომლებმაც აღნიშნეს რომ მიიღეს შესაბამისი ინსტრუქტაჟი განსახორციელებელი აქტივობების შესახებ და უახლოეს მომავალში დაიწყება ვერიფიკაციის პროცესი.

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემის-ინფორმაციის, შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების შენახვას. ,,სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასების და განხორციელების წესის მე-4 თავის მე-12 მუხლში გაწერილია მექანიზმები, რომელიც განმარტავს: შესრულების მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან სამი წლის ვადით. რის შემდეგაც ხდება მისი განკარგვა დადგენილი წესით.სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ. **დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ხორციელდება მათი აღრიცხვა. ექსპერტთა მხრიდან დასკვნის პროექტში აღნიშნული სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“.**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის დანართს წარმოადგენდა დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ შინაარსს, გეგმა მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

აქტივობების, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების, რესურსების, რისკების, მტკიცებულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ. გეგმის თანახმად ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში" შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესის დამატება, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის განხორციელება დაგეგმილია 11.11.2022 დან - 11.12.2022 წლის ჩათვლით. დაწესებულებას ეძლევა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში უზრუნველყოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად პერიოდულად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროფესიული სტუდენტი კონფიდენციალურად იღებს უკუკავშირს, რომელიც აძლევს შესაბამის რეკომენდაციებს კონკრეტული სტუდენტის სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცედურა ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მონიტორინგის შედეგები გასათვალისწინებელია მოდულური საგნმანათლებლო პროგრამის განვითარების კუთხითაც, რამეთუ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულია საგანმნათლებლო პროგრამების გაუმჯობესების კუთხით - მაგ. შეფასების ინსტრუმენტების და საგანმანათლებლო რესურსების შეცვლა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- შეფასების შიდა ვერიფიკაციის შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში საკვალიფიკაციო გამოცდების, უწყისები და მტკიცებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- დაწესებულების დირექტორის მიერ ცვლილებებით დამტკიცებული(ბრძანება N1/97, 10.11.2022) რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

XIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

თარიღი 20.11.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

(ქალაქი, გორი, 2022 წელი)